ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 17 აპრილი, 2018 №89 (7634) ფასი: 50 თეთრი

დავით ჭიჭინაძე: „ოცნება“ საპრეზიდენტო არჩევნებს წააგებს“

გვ.4

„ირაკლი კობახიძის გადასაყენებლად 50 დეპუტატია საჭირო“

5 აპრილიდან 150 ამბავი ნობელიანტი ფიზიკოსები



ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

თამარ გამრეკელაშვილის დედა ვეფხია ბაქრაძეს ორი კვირის წინ ცოლად გაჰყვა

გვ.7

ნათელა გობაძე: „ვეფხიამ კუმისში ჯაჭვებით დამაბა და ფიზიკურად ძალადობდა ჩემზე“

მოკლული გოგონას მამა მკვლელისთვის უვადო პატიმრობას ითხოვს



„საინგილოში ქართული ტაძრები ტუალეტებად არის ქცეული“

გვ.2

ნიკოლოზ მჟავანაძე: „თბილისში ცნობილ აფხაზ ბოევიკებს მკურნალობენ“



თამარ კორძაია: „ცუდია, რომ პრეზიდენტს ასეთი შეცდომა მოუვიდა“

გვ.3

„ოჯახში ქალი ისეთი ხარისხით არის დასაცავი, როგორც ციხეში პატიმარი წამებისგან“

მამუკა გამყრელიძე: „ივანიშვილმა კალაძე მერიის რუტინაში ჩაფლო“

გვ.3

ეკონომიკა გვ.6

ბათუმში მშენებარე სტადიონისთვის ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა წლიდან წლამდე იზრდება

„ვითიბი ბანკი“ მომხმარებელს საკრედიტო ისტორიის გასუფთავების უნიკალურ შესაძლებლობას აძლევს

„ბანკები გვევლინება რიგითი მოქალაქეების ჭარბვალიანობის პრობლემების დამძიმების მექანიზმად და არა ბიზნესის განვითარების ლოკომოტივად“

ISSN 1987-9385

5 „მალე დარჩებიან მხოლოდ ბანკები და მევახშეები“

4 გიორგი ტაბუნაშვილმა პროკურატურა დატოვა – „ხელისუფლებამ ყველა საერთაშორისო ფორმატში უნდა დააყენოს არჩილის შინაგანი ორგანოების გადვოცვის საკითხი“

5 ქართული კომპანია თელ-ავივის ყოფილი მერისგან მილიონებს ითხოვს

4 ყაზბეგის გამზირზე საბავშვო მაღაზია „ცეროდენა“ გაქურდეს

„საინგილოში ქართული ტაძრები ტუალეტებად არის ქცეული“

ნიკოლოზ მჟავანაძე: „თბილისში ცნობილ აფხაზ ბოევიკებს მკურნალობენ“

შორენა მარსაგიშვილი

რა პრობლემები აქვთ საინგილოში მცხოვრებ ქართველებს, რა წარწერებს აკეთებენ მათ სახლებზე, ვინ აიძულებს მათ ქართული მიწიდან აყრას, რატომ დუმს საქართველოს ხელისუფლება? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ უფლებადამცველთა გაერთიანების თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე ესაუბრება.

ნიკოლოზ მჟავანაძე:

– საინგილოში ქართველები ფაქტიურად გეტოებში ცხოვრობენ, განსხვავება ისაა მხოლოდ, რომ გაზის კამერები ჯერ არ დაუყენებიათ. ყველაფერი კეთდება საიმისოდ, რომ საინგილო ქართველებისგან დაიცალოს. კომუნისტების პერიოდში იქ სამჯერ მეტი ქართველი ცხოვრობდა.

ჩვენ ხშირად ვადანაშაულებთ რუსეთს ეთნიკურ წმენდაში, მაგრამ სხვებს პასუხს რატომღაც არ ვთხოვთ.

– რუსეთს კი არ ვადანაშაულებთ, რუსეთმა აფხაზეთსა და სამაჩაბლოში ქართველების ეთნიკური წმენდა მოაწყო.

– გასაგებია, მაგრამ იმაზე რატომ არავინ იღებს ხმას, რაც დღეს საინგილოში ხდება. ეს არის ყოვლად გაუგონარი ამბავი. საქართველოს ხელისუფლების პოზიცია კრიტიკას ვერ უძლებს. ვიღაცამ ფერადკანიანს ერთი პანჩური ამოარტყა და ლამის მთელმა ხელისუფლებამ თავზე ნაცარი წაიყარა.

არანაირ ძალადობას, მათ შორის არც პანჩურის ამორტყმას არ ვემხრობი, მაგრამ ამ ინციდენტის გაგრძელება იყო ამაზრზენი. ან ფეხბურთის თამაში რა საჭირო იყო, ან მწვადის შეწვა. შერიგებაზე ლაპარაკი ხომ საერთოდ სასაცილოა. ვის ვურიგდებით, ერთი გამაგებინეთ. როდის იყო ქართველი კაცი ბუნებით არატოლერანტი.

ერთი პანჩურის გამო ამხელა კამპანიის აგორება იყო დიდი შეცდომა. ქართული მედიის არასახელმწიფოებრივი პოზიციის გამო, რუსულ და დასავლურ მედიაში ქართველები რასისტებად გამოგვაცხადეს. ჩვენივე ხელით ვითხრით სამარეს.

მივმართავ საქართველოს ხელისუფლებას, ერთი პანჩურის გამო რომ აიკელით აქაურობა, იმაზე ხმას რატომ არ იღებთ, საინგილოში ქართველებს რომ ჩაგრავენ და აწამებენ.

– რაში გამოიხატება ჩაგვრა და წამება? კონკრეტული ფაქტების წარმოდგენა შეგიძლიათ?

– როგორ არ შემიძლია. დავიწყებ იმით, რომ საინგილოში ქართული ტაძრები ტუალეტებად და ბოსლებად არის ქცეული. ზაქათალაში არის წმინდა სამების ტაძარი, რომლის სიახლოვესაც არის მოედანი, სადაც ბავშვები ფეხბურთს თამაშობენ. თამაშის დროს ვიღაცას ბუნებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილება მოუნდება და ამას ტაძარში აკეთებენ.

– ამის დამადასტურებელი რაიმე ფაქტი გაქვთ?

– ამას ადასტურებს ვიდეოები. ეს ჩანაწერები ინტერნეტით გავრცელდა. მისი ნაწილი წაშალეს, მაგრამ ნაწილის წაშლა ვერ მოასწრეს. ამ ჩანაწერებში ჩანს, თუ როგორ წუხან ზოგიერთი აზერბაიჯანელები იმის გამო, რომ ტაძრის შეურაცხყოფა ხდება. ისინი ამბობენ, ამის გამო ალაჰი დაგვსჯისო.

მათი თქმით, როგორც ჩვენთვის მეჩეთია წმინდა ადგილი, ასევე წმინდა ადგილია ქრისტიანებისთვის ეკლესია და მას რომ შეურაცხვყოფთ, როგორ შეიძლებაო. მათ არავინ არ უსმენს.

ზოგიერთი ეკლესია ბოსლად არის ქცეული. ზოგიერთ ტაძარში კლიპებს იღებენ და გასართობ გადაცემებს წერენ.

საპატრიარქოს არაერთი თხოვნის მიუხედავად, საინგილოში ტაძრებში წირვა-ლოცვა არ ტარდება. ახლოვდება 6 მაისი – გიორგობა, ამ დღეს გახსნიან ქურმუხის წმინდა გიორგის ეკლესიის კარებს. ქართველებიც ატეხენ ერთ ამბავს, ისაუბრებენ აზერბაიჯანთან მეგობრობაზე და წავა ერთი ტაში-ტუში.

– ქურმუხის წმინდა გიორგის ეკლესიის კარებს მეორედ 23 ნოემბერს აღებენ.

– მაგ დღესაც დიდი ტაში-ტუშია ხოლმე. ვერ გავიგე, ჩვენმა ინგილოებმა გიორგობიდან გიორგობამდე უნდა იგრძნონ ადამიანებად თავი? იმაზე რატომ არავინ იღებს ხმას, რომ იქ ქართველ სასულიერო პირებს პრობლემებს უქმნიან და იქ მცხოვრებ ქართველებს ლოცვას უშლიან.

ერთ-ერთმა მამაომ ინგილოები ავტობუსით მიიყვანა ტაძარში. ამის შემდეგ ეს მამაო დაიბარეს უშიშროებაში და სასტიკი ზეწოლის ქვეშ მოაქციეს. რამდენიმე სასულიერო პირს იქ ავარია მოუწყვეს.

რაზე უნდა ვილაპარაკოთ, როცა საინგილოში ჩასვლის უფლებას ეპისკოპოსსაც არ აძლევენ.

– რომელ ეპისკოპოსს არ უშვებენ საინგილოში?

– ჰერეთის ეპისკოპოსს.

– რის საფუძველზე არ უშვებენ?

– სთხოვენ, რომ აზერბაიჯანის მოქალაქეობა მიიღოს. აზერბაიჯანი ორმაგ მოქალაქეობას არ ცნობს, რაც იმას ნიშნავს რომ ეპისკოპოსმა საქართველოს მოქალაქეობაზე უარი უნდა თქვას.

სანთლების და ხატების გადატანა საინგილოში წარმოუდგენელია. რელიგიური მიმართულებით კატასტროფული ვითარებაა. ტაძრებს ხომ გვინგრევენ და რასაც ვერ ანადგურებენ, აწერენ, რომ ალბანური წარმოშობის ძეგლებია.

ერთმანეთის მიყოლებით იხურება ქართული სკოლები და ეს ხელისუფლება კიდევ გვიმტკიცებს, აზერბაიჯანი ჩვენი სტრატეგიული პარტნიორიაო.

– ქართული სკოლები რატომ იხურება?

– ქართული წიგნები ვერ შეაქვთ. ბავშვებმა რაღაც ხომ უნდა ისწავლონ. ასე იცლება ქართული სკოლები მოსწავლეებისგან, რაც მათი დახურვით მთავრდება.

იქაურობას ეკონომიურადაც კლავენ. რამდენიმე ქართველ ბიზნესმენს უნდოდა იქ საწარმოს გახსნა, მაგრამ შეავიწროვეს და გამოაქციეს.

სახელმწიფო ობიექტებზე ქართველებს არავინ არ ასაქმებს. ქართველი თუ ხარ, იქ ვერ იმუშავებ.

– აბა რითი ირჩენენ თავს?

– სოფლის მეურნეობით. რომელი ჰექტრობით მიწები მაგათ აქვთ, რომ რაღაც ხეირი ნახონ. ხშირია ჩხუბი ეთნიკურ და რელიგიურ ნიადაგზე. ცოტა ხნის წინ სასტიკად სცემეს და აწამეს კუზი ბაბაშვილი. მის ასავალ-დასავალს დღემდე ვერ მივაგენით.

– რატომ სცემეს ამ ადამიანს?

– მხოლოდ იმიტომ, რომ ქართველი და ქრისტიანი იყო. მას ჯვარიც გაუტეხეს. ასეთი ფაქტები ხშირია. საკმარისია რამე თქვა, რომ სასტიკად დაისჯები. იქაურები ისე არიან დაშინებული, ხმასაც ვერ იღებენ.

სერიოზული პრობლემებია საინგილოში გადასვლაზეც. საკონტროლო გამშვები პუნქტი ძალიან ცუდად მუშაობს. დედოფლისწყაროში ერთი გამშვები პუნქტი საერთოდ ჩაკეტეს. ყველაფერს აკეთებენ, რომ ქართველებმა ამ მიმართულებით ვერ იმოძრაონ. აწესებენ დამატებით გადასახადებს.

ქართველები იძულებული არიან, დატოვონ საინგილო და აქეთ გადმოვიდნენ. იქაურობა ახალგაზრდობისგან მთლიანად დაცლილია. მხოლოდ მოხუცები დარჩნენ საინგილოში. მალე მათაც მოუწევთ იქაურობის დატოვება.

სერიოზული პრობლემებია საინგილოში გადასვლაზეც. საკონტროლო გამშვები პუნქტი ძალიან ცუდად მუშაობს. დედოფლისწყაროში ერთი გამშვები პუნქტი საერთოდ ჩაკეტეს. ყველაფერს აკეთებენ, რომ ქართველებმა ამ მიმართულებით ვერ იმოძრაონ. აწესებენ დამატებით გადასახადებს.

– მათ რატომ მოუწევთ იქედან წამოსვლა?

– გეგმაა ასეთი – საინგილო ქართველებისგან უნდა გასუფთავდეს. ქართველების სახლებზე აზერბაიჯანულად ასეთ წარწერებს აკეთებენ – ჩვენია.

ინგილოებს ჯანდაცვის კუთხითაც სერიოზული პრობლემები აქვთ. იმის გამო, რომ არ არის სათანადო სამედიცინო მომსახურება, ადამიანები ხშირად იღუპებიან.

– სათანადო სამედიცინო მომსახურება რატომ არ არის?

– არ ჰყავთ მაღალი კვალიფიკაციის ექიმები. თავად აზერბაიჯანელებიც საქართველოს ტერიტორიაზე გადმოდიან სამკურნალოდ.

– ინგილოები რატომ არ გადმოდიან?

– იმიტომ, რომ მათ ამის უფლებას არ აძლევენ.

– რას ჰქვია უფლებას არ აძლევენ? ჯანდაცვის სამინისტრო რას აკეთებს?

– არაფერს. ქართული სახელმწიფო არაფერს არ აკეთებს იმისთვის, რომ ქართველებმა სათანადოდ იმკურნალონ. სამაგიეროდ, დიდი თანხები იხარჯება აფხაზი და ოსი სეპარატისტების სამკურნალოდ.

თბილისში სამკურნალოდ ყველასთვის ცნობილი ბოევიკებიც კი ჩამოდიან.

– რომელმა ბოევიკმა იმკურნალა?

– რუსლან ქიშმარიამ.

– გალის გამგებელი რომ იყო, იმ რუსლან ქიშმარიამ?

– დიახ, მაგ რუსლან ქიშმარიამ.

– ყოჩაღ, საქართველოს ხელისუფლებას – ბოევიკებსაც მკურნალობს თურმე.

– ბოევიკებს უხმარ ბამბაში აწვენენ, ჩვენი ინგილოების ბედი კი არავის ადარდებს.

– უხმარ ბამბაში ჩაწვენაში რა იგულისხმება?

– გურიაშია ასეთი გამოთქმა – განსაკუთრებულ პატივისცემას ნიშნავს. მინდა მივმართო საქართველოს ხელისუფლებას, არ გრცხვენიათ, რომ ბედის ანაბარა გყავთ ინგილოები მიტოვებული? იგივე კითხვა მინდა დავუსვა მედიასაც. საინგილო არც მათთვის არის საინტერესო თემა.

არასამთავრობოების პოზიციაც მაინტერესებს. ამ გამყიდველებს რატომ არ აინტერესებთ, როგორ ცხოვრობენ ინგილოები. მათი უფლებების დარღვევა არაფერია? არაფერია, ლოცვის და განათლების უფლება რომ წაართვეს?

წარმომიდგენია, რა მოხდება ქვემო ქართლში, მეჩეთები რომ დახუროს ვინმემ, ეს გამყიდველი არასამთავრობოები ქვეყანას შეყრიან. საინგილოში რაც ხდება, ეს ვითომ არაფერი.

– იქნებ არ იციან არასამთავრობოებმა ამის შესახებ?

– ძალიან კარგად იციან.

– აბა რატომ არ იღებენ ხმას?

– იმიტომ, რომ ამაში გრანტს არავინ მისცემს. აბა გრანტი იყოს დაწესებული, ვერ გააჩუმებ. გრანტის გამო საკუთარ დედებს აგინებენ.

არასამთავრობოები ამ მიმართულებით არაფერს არ გააკეთებენ, მაგრამ ჩვენ ვიწყებთ აქტიურობას და ვიტყვით ყველაფერს, რაც საინგილოში ხდება. განცხადებებით მივმართავთ საგარეო უწყებას და პარლამენტს.

საქართველოს პარლამენტში რამდენიმე ეთნიკური აზერბაიჯანელი დეპუტატია, მათ უნდა გაგვცენ პასუხი, რატომ ირღვევა აზერბაიჯანში ქართველების უფლებები, საქართველოში არავის უფლება არ ირღვევა. დროა, ჩვენმა ხელისუფლებამაც გამოიბერტყოს ყურები და რაღაც-რაღაცების ხარჯზე არ უნდა დახუჭონ თვალები

– რის გამო ხუჭავენ თვალებს?

– მოგეხსენებათ, რომ ბუნებრივ აირს და საწვავს აზერბაიჯანიდან ვიღებთ. ამის გამო ითვლება ის ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორად. მესმის, რომ საწვავი გვჭირდება, მაგრამ თავზე ხომ არ უნდა გადაგვიაროს. უკვე დროა, ბუნებრივი აირის ალტერნატიულ გზებზე ვიმუშაოთ. რამდენიმე თვის წინ ცენტრალურ აზერბაიჯანულ პრესაში გამოქვეყნდა წერილი, სადაც ეწერა, საქართველო გაზის სანაცვლოდ დავით გარეჯს და ერისიმედს დაგვითმობსო.

სანამ მართლა არ მოგვთხოვეს მათი დათმობა, ბუნებრივი აირი სხვებისგან უნდა შევიძინოთ.

– მაინც ვისგან, ოკუპანტი რუსეთისგან? სხვა ალტერნატივა არა გვაქვს.

– ოკუპანტი ეძახე და მთელი ევროპა მაგ გაზზეა.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

თამარ კორძაია: „ცუდია, რომ პრეზიდენტს ასეთი შეცდომა მოუვიდა“

„ოჯახში ქალი ისეთი ხარისხით არის დასაცავი, როგორც ციხეში პატიმარი წამებისგან“

ნათია ხურცილავა

რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, იურისტი **თამარ კორძაია** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე საუბრობს, რომლის მიხედვითაც, ის დროებით წყვეტს ძალადობის მუხლით გასამართლებული პირების შეწყალებას.

– ქალბატონო თამარ, ბარნოვის ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის შემდეგ, პრეზიდენტმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ შეწყალების აქტი დროებით შეაჩეროს იმ მსჯავრდებულების მიმართ, რომელთაც დანაშაული ძალადობის მუხლით აქვთ ჩადენილი. როგორ შეაფასებთ მარგველაშვილის ამ გადაწყვეტილებას?

– შეწყალების აქტს ყოველთვის ახლავს რისკი, რომ შეიძლება მსგავსი რამ მოხდეს, რაც ძალიან სამწუხაროა. თავისთავად პრეზიდენტ მარგველაშვილის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომ ამ მუხლით გასამართლებულების შეწყალებას წყვეტს, არ ვიცი, რას ნიშნავს. რამდენი ხნით წყვეტს?

ზოგადად მოძალადეების, განსაკუთრებით ოჯახში ძალადობის ფაქტთან დაკავშირებით მსჯავრდებულების შეწყალებასთან დაკავშირებით, პრეზიდენტს მეტი წინდახედულება ნამდვილად მართებს. ჩვენ გვახსოვს, პრეზიდენტი თავად როგორ გამოდიოდა როგორც ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ, როგორ უცხადებდა იმ ქალებს თანადგომას, რომლებიც ოჯახში ძალადობის მსხვერპლნი იყვნენ. ასევე გვახსოვს, 2017 წელი როგორ გამოაცხადა პრეზიდენტმა ქალთა წლად. აქედან გამომდინარე ლოგიკაში არ ჯდება პრეზიდენტის ქმედება. სამწუხაროდ, ჩვენ მივიღეთ შედეგი, რომლის გამოსწორებაც შეუძლებელია. პრეზიდენტი კი გვეუბნება, რომ დროებით შეაჩერებს შეწყალების აქტს მოძალადეების მიმართ, მაგრამ ამ სამწუხარო რეალობას ვერანაირად ვეღარ შევცვლით.

ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით ზოგადად უფრო მკაცრი მიდგომა უნდა არსებობდეს შეწყალების კუთხით და სხვა ნებისმიერი მიმართულებით.

– შეწყალების კომისია როგორ უნდა მუშაობდეს, ის ხომ რეკომენდაციას უწევს, პრეზიდენტი ხომ ყველა დეტალს ვერ შეისწავლის? ალბათ კომისიის როლი ძალიან მნიშვნელოვანია.

– რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანია. კომისიასაც უნდა გაეთვალისწინებინა ეს ფაქტი, რასთან გვქონდა ჩვენ საქმე. თუმცა, ვითარებას თუ მეორე კუთხით შევხედავთ, 2017 წლის ბოლოს ის მაინც გამოვიდოდა ციხიდან. ამიტომ, ცალსახად შეწყალების კომისიასა და პრეზიდენტში ვეძებოთ ჩვენ დამნაშავე, არასწორი მგონია.

– პრობლემა უფრო ღრმაა და ამიტომ?

– რასაკვირველია, თუმცა, გაცილებით უფრო მეტი დამნაშავე მე პარლამენტი მგონია ამ შემთხვევაში.

– რატომ?

– პარლამენტი ამ პრობლემას როგორც ასეთს, ვერ ხედავს და ფემიციდს, როგორც ცალკე დანაშაულს, ცალკე, როგორც ტრაგიკულ მოვლენას, არ აფასებს და სისხლის სამართალში, როგორც ცალკე მუხლს, არ გამოყოფს. ამიტომ ვამბობ, რომ გაცილებით მეტი პასუხისმგებლობა ამ შემთხვევაში პარლამენტის მხარეს არის და არა – პრეზიდენტის მხარეს.

გავიგეთ, რომ საშინელი ფაქტი მოხდა და ცუდია, რომ პრეზიდენტს ასეთი ტიპის შეცდომა მოუვიდა. თუმცა, ამ თვალსაზრისით გაცილებით მეტი სამუშაოა არა მხოლოდ საკანონმდებლო დონეზე, არამედ განათლების დონეზე, საბავშვო ბაღიდან დაწყებული. ყველა სასტიკად ეწინააღმდეგება სკოლაში იმ ტიპის სწავლებას, რასაც თანასწორობა ჰქვია, რათა ადამიანებს ბავშვობიდან ჰქონდეთ განცდა, რომ ქალი და კაცი თანასწორია და ერთი მეორეს არაფრით აღემატება.

– ძალადობა ჩვენი საზოგადოების მენტალური პრობლემაა?

– ჩვენი საზოგადოება ყოველ ჯერზე ადასტურებს, რომ ძალადობრივი საზოგადოებაა. ამ ქვეყანაში ძალადობა პატივცემულია. ამას უნდა ვებრძოლოთ პირველ რიგში. თორემ ციხეში დამნაშავეები ხვდებიან და, როგორც წესი, პრეზიდენტი დამნაშავეებს იწყალებს. დამნაშავის შეწყალება არის ჰუმანური აქტი, მაგრამ ჩვენი პრობლემა შეწყალებაში კი არ არის, სხვაგან არის, პრობლემა ძირშია და ეს არის გლობალური პრობლემა.

ოჯახში ქალი გაცილებით დაუცველია, ვიდრე სხვა ვითარებაში. ამას ჩვენ უკვე ლამის ყოველდღე ვადასტურებთ. ქალი უკვე ისეთი ხარისხით არის დასაცავი, როგორც, მაგალითად, ციხეში პატიმარი ძალადობისგან, წამებისგან. ციხეში ადამიანი სრულიად დაუცველია, მთლიანად სახელმწიფოს ხელშია, ასევე სამწუხაროდ, ქალი ოჯახში დაუცველი აღმოჩნდა. აქედან გამომდინარე ამ პრობლემის მოგვარების ხედვა უნდა ჰქონდეს ზოგადად ხელისუფლებას. პრეზიდენტს, პარლამენტს, მთავრობას, საზოგადოებას.

– პრობლემა მართლაც ყოველდღიურად რთულდება. რაღაც ნაბიჯები გადაიდგა, თუმცა შედეგი არ არის. კომპლექსური სამუშაოა საჭირო?

– რასაკვირველია, კომპლექსური სამუშაოებია ჩასატარებელი და, რაც მთავარია, საბავშვო ბაღიდან უნდა დავიწყოთ ამაზე მუშაობა, განათლების მიმართულებით გვაქვს სამუშაოები ჩასატარებელი, თან სერიოზული. დღეს ფემიციდის კრიმინალიზება რომც მოახდინონ, ამ ფაქტს უკვე ვეღარაფერს ვუზამთ და მოკლულ ახალგაზრდა ქალს ვერაფერს ვუშველით. დამნაშავეს კი დაუმძიმდება ეს მუხლი, მაგრამ მთავარი ის არის, რომ დავინახოთ, რაშია პრობლემა, როგორ უნდა გამოვიდეთ ამ პრობლემიდან. სამწუხაროდ, ამას ვერ ვხედავთ, ვერც ჩვენი ხელისუფლება ვერ ხედავს და ვერც საზოგადოება ვერ ხედავს, ამიტომ არის, რომ პრობლემა დღითიდღე მძიმდება.

– დეპუტატი ვოლსკი ამბობს, რომ უდოს კომისიამ ამ ადამიანს 6-ჯერ უთხრა უარი შეწყალებაზე და თუ ინფანტილური არ ხარ, როგორ შეიძლება ამ ფაქტმა არ დაგაეჭვოსო, ამბობს ის პრეზიდენტზე. რას იტყვით?

– ფაქტია, რომ „ქართული ოცნება“ არ უშვებს არც ერთ შანსს, არც ერთ შესაძლებლობას, რომ პრეზიდენტი არ გააკრიტიკოს, ასე იყო აქამდე. ამ შემთხვევაში მარგველაშვილმა ეს მიზეზი „ქართულ ოცნებას“ მისცა. თუმცა, არც ერთი პრეზიდენტი, არც მარგველაშვილი და არც მომავალი პრეზიდენტი არ იქნება დაზღვეული, რომ მის მიერ შეწყალებული ადამიანი დანაშაულს არ ჩაიდენს. ნებისმიერ შემთხვევაში პრეზიდენტი დამნაშავეს იწყალებს. ბუნებრივია, სულაც არ მიკვირს, რომ ახლა „ქართული ოცნებისგან“ მწვავე კრიტიკა წამოვიდა აღნიშნულ ფაქტზე პრეზიდენტის მისამართით, მაგრამ კრიტიკა არ არის გამოსავალი, პარლამენტის წევრებმა უნდა იფიქრონ, თვითონ რას გააკეთებენ ამ პრობლემის მოსაგვარებლად.

– კანონმდებლობა უნდა შეიცვალოს, პარლამენტი საკანონმდებლო ინიციატივით უნდა გამოვიდეს?

– რა თქმა უნდა! უნდა ვაღიაროთ, რომ ფემიციდი ცალკე დანაშაულია და ცალკე მუხლია. ეს არ არის ჩვეულებრივი მკვლელობა თავისი არსით. ამიტომ ვამბობ, რომ განსხვავებული მიდგომაა საჭირო. არა მხოლოდ კანონმდებლობა უნდა შეიცვალოს, განათლების სამინისტრომაც უნდა აიღოს თავისი წილი პასუხისმგებლობა.

– ვიცე-სპიკერმა ჩუგოშვილმა განაცხადა, რომ განსაკუთრებით დიდია პროცენტული მაჩვენებელი პრეზიდენტის მიერ შეწყალებულების მიერ დანაშაულის ჩადენისა. მისი თქმით, მას არც ერთი ქვეყანა არ ეგულება, რომელიც ახლოს მივა ამ სტატისტიკასთან. პრეზიდენტს ასევე უწუნებდნენ ნარკოდანაშაულში ბრალდებულების შეწყალებას.

– ნარკოდამნაშავეებთან დაკავშირებით პრეზიდენტს ღია პოლიტიკა აქვს. ის ამბობს, რომ ნარკოტიკებთან დაკავშირებით სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაცია უნდა მოხდეს. მე ამაში პრობლემას ვერ ვხედავ. თუ ეს იმ რიგს მიეკუთვნება, რომ უნდა აკრიტიკონ პრეზიდენტი, დაე, მიეკუთვნებოდეს.

მამუკა გამყრელიძე: „ივანიშვილმა კალაძე მერიის რუტინაში ჩაფლო“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ყოფილი დიპლომატი **მამუკა გამყრელიძე** პასუხობს.

– ბატონო მამუკა, უმრავლესობის შიგნით ურთიერთბრალდებები არ წყდება, რას იტყვით თქვენ?

– თავიდანვე ცხადი იყო, რომ „ქართული ოცნება“ არაერთგვაროვანი და შეკრული ჯგუფი არ იყო. ეს არის რაღაც ამორფული მასა, ლუზერი პოლიტიკოსებისაგან შეკრებილი თავის დროზე. ყველა დამარცხებული პოლიტიკოსი იყო, რომელიც სადღაც მოქექეს, ნაფტალინიდან ამოიღეს და გააცოცხლეს და ყველაფერი შეიკრიბა ივანიშვილის ფულის გარშემო. ცხადია, ასეთ ამორფულ მასაში გარკვეული ჯგუფები თავისთავად ჩამოყალიბდებოდა და განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ივანიშვილმა გადაწყვიტა, გასცლოდა ამ ყოველდღიურ მუშაობას და მხოლოდ საკუთარი თავით დაკავებულიყო.

– მას შემდეგ რა პროცესები წავიდა ოცნებაში?

– გარედან ასე ჩანს, რომ იქ არის კვირიკაშვილის დაჯგუფება, რომელსაც საკმაოდ ძლიერი პოზიციები აქვს მინისტრთა კაბინეტში, თავის დროზე იყო ღარიბაშვილის დაჯგუფება, რომელიც ნაკლებად აქტიურია, აღარ ჩანს. ასევე არის ძველი, ლუზერი პოლიტიკოსებისაგან შეკრებილი გარკვეული ჯგუფი პარლამენტში, ეკა ბესელიას თამადობით და მასთან ერთად ბევრნი არიან, რომლებიც ივანიშვილმა შემოიკრიბა და ისინი დღემდე მისი ერთგულები არიან. ასევე არის ახალგაზრდების ჯგუფი კობახიძე-მდინარაძის, რომლებსაც მჭიდრო ურთიერთობა უნდა ჰქონდეთ კალაძესთან.

– საუბარია, რომ მათ სწორედ კალაძის ფრთად მოიხსენიებენ.

– როგორც ჩანს, კალაძე თავის თამაშს თამაშობს, ჭორების დონეზე ამას ყური მოვკარი. მის გარშემოა შემოკრებილი კობახიძე და დანარჩენები, რომლებსაც კომკავშირლებს დავარქმევდი. სტიქიური კომკავშირლები არიან! თითქოს ბიძინა ივანიშვილი კი დგას გარეთ, მაგრამ ის მართავს ყველა პროცესს.

– ეს მიმოწერა, საერთო ჩატი აღარ იმალება, აღიარეს, რომ ეს მართლა იყო.

– რა თქმა უნდა, იყო. ეს ჩატი მოიპოვა კონკრეტულმა ადამიანმა, რომელმაც ტელევიზიას გადასცა. ხდება ხოლმე ხანდახან ასეთი გაჟონვა. ძალიან საინტერესო ჭორი იყო ამ ცოტა ხნის წინ, როდესაც თქვეს, რომ ბიძინა ივანიშვილმა უჩა მამაცაშვილი ჩამოაშორა ყველაფერს და მოიშორა თავიდანო. მე გადავამოწმე ეს ინფორმაცია და ასე არ არის. უჩა მამაცაშვილი კვლავ რჩება მის უახლოეს სანდო პიროვნებად, მთელი ბიზნესი მას აქვს ჩაბარებული და უბრალოდ მოაშორეს ამ ღია დარტყმებს და საჯარო პოლიტიკას, რომ უფრო დაცული ყოფილიყო.

ეს ძალიან საინტერესო მომენტია. სიტუაციის მართვა მიმდინარეობს ისევ ბიძინა ივანიშვილის მიერ და, როგორც ჩანს, კვირიკაშვილი ბიძინა ივანიშვილთან უფრო დაახლოებული ჯგუფის ხელმძღვანელია. ბოლომდე არც მათ ენდობა ბიძინა ივანიშვილი, მაგრამ უფრო პრივილეგირებული ჯგუფია.

– კალაძეზე რას იტყვით?

– რაც შეეხება კალაძის ჯგუფს, ჩემი აზრით, ისინი უბრალოდ საკუთარ თამაშს თამაშობენ და ბიძინა ივანიშვილი ამ ორი ჯგუფის დაპირისპირების ფონზე ცდილობს, თვითონ უფრო მყარად იდგეს და ეს კარგად გამოსდის. ისიც ფაქტია, რომ კალაძე მინისტრად რომ იყო, ეს მისთვის ბევრად უფრო ადვილი და კომფორტული იყო. სამინისტრო ბევრად უფრო გამართული მექანიზმია, რომელიც მუშაობს და ამავდროულად ძალიან კარგად დალაგებული სამინისტრო იყო.

– დღეს რა პოზიციაშია, პირდაპირ ილებს დარტყმებს?

– დღეს ის თბილისის მერიაშია, იქ ახალი ჯგუფი მიიყვანა, სანამ ისინი რამეში გაერკვევიან, საუბრობენ, რომ ძალიან რთული და მძიმე სიტუაციაა მერიაში. ბევრი გაუგებრობა აქვთ. კალაძე ჩაფლო ბიძინა ივანიშვილმა ამ რუტინაში.

– რატომ? რათა ნაკლებად მოიცალოს დიდი პოლიტიკისთვის?

– დიახ, თუმცა, ასე თუ ისე, მაინც ახერხებს პიარს, ზანგებთან ფეხბურთის თამაში იქნება, მწვადის ჭამა თუ სხვა სისულელეების გაკეთება.

– რას იტყვით გედევან ფოფხაძეზე? ის გიორგი კვირიკაშვილმა დაიყოლია გუნდში დარჩენაზე, თუმცა ბევრმა ძალიან ცუდად შეაფასა მისი უკან დახევა.

– მე ფოფხაძეზე განსაკუთრებულად კარგი წარმოდგენის არ გახლავართ, ეს არის ჩვეულებრივი მედროვე ადამიანი. მე არ გამოვრიცხავ, რომ ის იყო ლუზერების ჯგუფში,

გაგრძელება მე-4 გვერდზე

დავით ჭიჭინაძე: „ოცნება“ საპრეზიდენტო არჩევნებს წააგებს“

„ირაკლი კობახიძის გადასაყენებლად 50 დეპუტატია საჭირო“

შორენა მარსაგიშვილი

მმართველი გუნდის დაწყნარებას საშველი არ დაადგა. პარლამენტის თავმჯდომარის დაანონსებულმა ქცევის კოდექსმა დეპუტატების აღშფოთება გამოიწვია. ყველაზე ხმამაღალი პროტესტი დავით ჭიჭინაძემ გამოთქვა, რომელიც უკვე აღარ მალავს, რომ ირაკლი კობახიძის გადაყენების მომხრეა.

ჟურნალისტებთან საუბარში დეპუტატი ამბობს, რომ ქცევის კოდექსის დაწერა უაზრობაა და კობახიძე, შესაძლოა, თანამდებობის გარეშე დარჩეს.

– პარლამენტის თავმჯდომარის გადასაყენებლად 50 დეპუტატია საჭირო, – ამბობს მეამბოხე ჭიჭინაძე.

მისი თქმით, სპიკერი დეპუტატებთან საერთო ენის გამონახვას ვერ ახერხებს. დეპუტატის მტკიცებით, საქართველოს ასეთი სამარცხვინო პარლამენტის თავმჯდომარე ჯერ არ ჰყოლია.

– დეპუტატთან საერთო ენას ვერ ნახულობს, ახალგაზრდებთან საერთო ენას ვერ ნახულობს, საზოგადოებასთან საერთო ენას ვერ ნახულობს. ვერ გამიგია, ვის რა ეთიკის წესები უნდა დაუწესოს მაგან?! შეიძლება დაწეროს იმ ადამიანმა, ვისაც ამის მორალური უფლება აქვს, ერთი რამე არ მოუსმენია, ეტყობა, რომ ჰკითხო, ყველაფერი იცის. სიმდაბლე არის ყველაზე დიდი

„მმართველი პარტიის ახალგაზრდული ფრთა ფარულ მოლაპარაკებებს მართავს“

სიძლიერის ნიშანი, მოთმინება, თავშეკავებულობა, თავმდაბლობა არის ყველაზე დიდი ადამიანობა და არა – ყეყეჩივით ცხვირის ზევით აწევა.

ის საქართველოს ისტორიაში შევა, როგორც ყველაზე სუსტი პარლამენტის თავმჯდომარე, არადა შანსი ჰქონდა, ყოფილიყო პარლამენტის ყველაზე წარმატებული თავმჯდომარე. აღარც კონსტიტუციის მიღება უშველის მაგ საქმეს და აღარც არაფერი. მე ერთი რაღაც ვიცი, სირაქლემას პოზაში ცხოვრება არ შეიძლება, – განაცხადა დავით ჭიჭინაძემ.

მისი თქმითვე, კობახიძე და მისი გუნდი ამომრჩეველთან თავაწეული ვერ მივლენ. მეტიც, მიიჩნევს, რომ თუ ეს ხალხი „ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატის გვერდით გამოჩნდება, შედეგი იქნება კატასტროფული.

– თუ ესენი იქნებიან საპრეზიდენტო კანდიდატის თანმხლები პირები, პირდაპირ გეუბნებით, რომ პირველი ტური კი არა, შეიძლება საერთოდ წავაგოთ... პრემიერს ბევრად მეტი რეიტინგი აქვს, ვიდრე ზარდიაშვილს, მდინარაძეს, კობახიძეს და თალაკვაძეს ერთად აღებულს. ამათ „ქართული ოცნების“ ახალ სახეებს ვეღარ დავარქმევ, ეგენი არ არიან ახლები, ჩვენ გვყავს ახალი სახეები, იგივე თამარ ჩუგოშვილი, კახა კუჭავა და სოფო ქაცარავა, – ამბობს დეპუტატი.

ის „ოცნების“ ახალ სახეებს ფარული მოლაპარაკებების წარმოებაშიც ადანაშაულებს. დეპუტატი მიიჩნევს, რომ მამუკა მდინარაძეს და არჩილ თალაკვაძეს არა აქვთ უფლება, „ოცნებაში“ თანამდებობა ეკავოთ.

დავით ჭიჭინაძე მედიასთან საუბარში ადასტურებს, რომ „ოცნების“ დეპუტატების ნაწილი გიორგი კვირიკაშვილს აუმხედრდა. კანონმდებლისთვის ამის ყურება ძალიან ძნელი ყოფილა.

– როგორი ასატანია, პრემიერ-მინისტრს უპირისპირდებოდნენ ისეთი დეპუტატები, რომლებსაც ერთი აგურიც არ დაუდვიათ „ქართული ოცნების“ გამარჯვებაში, მათ ადგილას ჯოხებიც რომ დაგვეყენებინა, დეპუტატები გახდებოდნენ და უფრო კარგ ფუნქციას შეასრულებდნენ, დაეყრდნობოდი მაინც, ან ტანსაცმელს ჩამოკიდებდი. ესენი კი მხოლოდ პირადი ინტერესების დაკმაყოფილებაზე არიან გადასულები.

ისინი ფარულ მოლაპარაკებებს მართავენ, ქალაქი ძალიან პატარაა და მათი საქმიანობების შესახებ ინფორმაციები ჩვენამდეც აღწევს. სადაც არ უნდა წახვიდე და ვისაც არ უნდა შეხვდე, მაგ ადამიანების მიმართ პოზიტიური განწყობა არავის აქვს. ჩემთვის აღმაშფოთებელია იმ ადამიანის წინააღმდეგ გალაშქრება, რომელმაც საკმაოდ დიდი როლი ითამაშა 2016-2017 წლის არჩევნებში გამარჯვებაში, ვგულისხმობ გიორგი კვირიკაშვილს.

ვფიქრობ, მათ არანაირი მორალური უფლება არ აქვთ, მდინარაძეს და თალაკვაძეს, ფრაქციის თავმჯდომარის და მისი მოადგილის პოსტი ეკავოთ. თუ მათ კვირიკაშვილი არ მოსწონთ, შეუძლიათ თავიანთი ადგილი ამ ცხოვრებაში დამოუკიდებლად იპოვონ. მახსოვს, ბევრი მათგანი ნაცმოძრაობასთან კარგად ძოვდა და ადგილსაც პოულობდა, – განაცხადა დავით ჭიჭინაძემ „ალიასთან“ ინტერვიუში

ბოლო დროს „ოცნების“ რიგებში ძალიან გააქტიურდა ვანო ზარდიაშვილი. ამ უკანასკნელს ერი, როგორც ზურაბ ადეიშვილის მარჯვენა ხელს, ისე იცნობს. მმართველ პარტიაში ის 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის მოხვდა. ბოლო რამდენიმე კვირაა, ის პარტიის ერთ-ერთ ლიდერად გვევლინება.

დავით ჭიჭინაძეს თუ დავუჯერებთ, 2016 წელს კინაღამ „ქართული ოცნება“ დაიშალა. მისი თქმით, პარტია ზარდიაშვილის ისნის რაიონის მაჟორიტარად წარდგენას აპირებდა.

– ზარდიაშვილთან მიმართებაში დისკომფორტი მთელ ისნის რაიონს ჰქონდა, როდესაც მის მაჟორიტარობას აპირებდნენ. მაშინ დაიბლოკა რაიონში, კინაღამ პარტია დაიშალა მაგის მაჟორიტარობის გამო და არავის არ ეგონა, რომ ის საერთოდ სიაში მოხვდებოდა. მაგრამ, სამწუხაროდ, მოხვდა ისე, – განაცხადა ჭიჭინაძემ ტვ პირველის ეთერში.

ვანო ზარდიაშვილს თავისი წარსული დიდად არ ადარდებს. მეტიც, მან პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის გადადგომა მოითხოვა. ადეიშვილის მარჯვენა ხელი „ოცნების“ პრეზიდენტს ხალხის მტრების შეწყალებაში ადანაშაულებს.

კარგი იქნებოდა, ზარდიაშვილს იმ ხალხის დოსიეც მოეკითხა, რომლებიც „ოცნებამ“ 2012 წლის დეკემბერში პოლიტპატიმრის სტატუსით გამოუშვა.

გიორგი ტატუნაშვილმა პროკურატურა დატოვა — „ხელისუფლებამ ყველა საერთაშორისო ფორმატში უნდა დააყენოს არჩილის შინაგანი ორგანოების გადმოცემის საკითხი“

მცხეთის პროკურატურაში არჩილ ტატუნაშვილის მამის გიორგი ტატუნაშვილის გამოკითხვა დასრულდა.

8-საათიანი დაკითხვის შემდეგ, გიორგი ტატუნაშვილს პირობა მისცეს, რომ გამოძიების მასალებზე შეუფერხებელი წვდომა ექნება.



ოჯახი ითხოვს, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ყველა საერთაშორისო ფორმატში მოითხოვოს საოკუპაციო რეჟიმისგან არჩილ ტატუნაშვილის შინაგანი ორგანოების გადმოცემა.

– გამოძიება დაწყებულია ორი მუხლით: თავისუფლების აღკვეთა ერთი ან ორი პირის მიმართ და მკვლელობა. ყველაზე მთავარი ორი საკითხია. დადგენილია, რომ არჩილ ტატუნაშვილს ამოცლილი აქვს შინაგანი ორგანოები. ამ ფაქტმა შესაძლოა, გაართულოს ექსპერტიზის ყოველმხრივი და სრულყოფილი ჩატარება. ამიტომ ვითხოვთ არჩილ ტატუნაშვილის შინაგანი ორგანოების გადმოცემას. ხელისუფლებამ ეს საკითხი უნდა დააყენოს ყველა საერთაშორისო ფორმატში და დაეხმაროს ქვეყნის შიგნით მიმდინარე გამოძიებას. არ არის გადმოცემული არც სამართლებრივი და არც სამედიცინო დოკუმენტაცია, – განაცხადა ტატუნაშვილის ოჯახის ადვოკატმა თამარ ავალიანმა.

ყაზბეგის გამზირზე საბავშვო მაღაზია „ცეროდენა“ გაქურდეს

ყაზბეგის გამზირზე საბავშვო მაღაზია „ცეროდენა“ გაქურდეს. ჩამსხვრეულია მაღაზიის ვიტრაჟები. ჯერჯერობით უცნობია, რა წაიღეს სავაჭრო ობიექტიდან მძარცველებმა.

არსებული ინფორმაციით, მიმდებარე ტერიტორიაზე კიდევ არის გაქურდული რამდენიმე ობიექტი, ქურდი კი, სავარაუდოდ, არასრულწლოვანია.

მომხდარზე სისხლის სამართლის საქმე, სავარაუდოდ, ქურდობის მუხლით აღიძრა. ერთ-ერთ ვერსიით, ქურდი არასრულწლოვანია.

ავარია ბათუმში — დაშავებულია 3 ადამიანი

ბათუმში ორი მსუბუქი ავტომობილი ერთმანეთს შეეჯახა. ერთ-ერთი კი ტროტუარზე გადავიდა.

შემთხვევის შედეგად 3 ადამიანი დაშავდა, რომლებიც ბათუმის რეფერალურ საავადმყოფოში გადაიყვანეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276 მუხლის პირველი ნაწილით დაიწყო.

ავტოსაგზაო შემთხვევა გორში — დაშავდა ერთი პირი

ავტოსაგზაო შემთხვევა გორში, ქუთაისის ქუჩაზე „მერსედესის“ მარკის ავტომობილი მოტოციკლეტს დაეჯახა. „ნიუპოსტის“ კორესპონდენტის ცნობით, დაშავებული მოტოციკლეტის მძღოლია, რომელიც სასწრაფომ საავადმყოფოში გადაიყვანა.

მამუკა გამყრელიძე: „ივანიშვილმა კალაძე მერიის რუტინაში ჩაფლო“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

შეხედა, რომ იქ რაღაცა არ გამოდის, ადგა და ძალიან მარტივად გამოიგონა ხმაურიანი ამბავი, შექმნა აჟიოტაჟი, მოახდინა საკუთარი თავის აქტუალიზაცია და ამის ხარჯზე კვირიკაშვილს მოუწია მისთვის ეთხოვა და ამით ფოფხაძემ ბენეფიტები დაიწერა. შესაძლოა, გადახტა კიდეც კვირიკაშვილის გუნდში. უფრო ვირთხების ბრძოლას ჰგავს ეს, კასრში ერთმანეთს რომ ჭამენ ხოლმე.

– რა გაგრძელება ექნება ამ პროცესს?

– მიუხედავად ყველაფრისა, მაინც ძალიან მყარია „ქართული ოცნება“. უკიდურესად მყარი მექანიზმია! იმიტომ, რომ მის უკან ივანიშვილი და მისი ფულია! ამ განუსაზღვრელი რესურსების პირობებში, მას შეუძლია გადაიკიდოს ნებისმიერი პიროვნება, მთლიანად მოკლას პოლიტიკური პროცესი საქართველოში. ერთადერთი შემარყეველი ფაქტორი არის ხოლმე სააკაშვილი, რომელიც ბოლო პერიოდია, რაღაცა უცნაურ განცხადებებს აკეთებს. მის ადგილას ცოტა ხანი გავჩერდებოდი.

– წამგებიან სიტუაციაში იგდებს თავს?

– მისი აქტივობა აფრთხობს ხალხს და იმ გაერთიანების შესაძლო პროცესს, რომელიც შესაძლებელი იყო დაწყებულიყო ოპოზიციურ პარტიებს შორის, უშლის ხელს. ცოტა რომ მოიცადოს, რომ რაღაც გაერთიანება მოხდეს და შემდეგ დაიწყოს მან აქტივობა, ეს ბევრად უფრო პრაგმატული იქნებოდა.

– შეძლებს ოპოზიცია საერთო საპრეზიდენტო კანდიდატის ირგვლივ გაერთიანებას?

– ძალიან გაუჭირდებათ. უპირველეს ყოვლისა, ყველაფერი ფულის რესურსებზე გადის. ივანიშვილმა კი ძალიან კარგად ჩახურა ბიზნესი, ყველას ეშინია ოპოზიციის დაფინანსება და არც სურთ, გადასარევად გრძნობენ თავს, ყოველ შემთხვევაში, მსხვილი ბიზნესი. მათ ამ ხელისუფლების შეცვლა დიდად არ სურთ და არც სჭირდებათ. წვრილ და საშუალო ბიზნესს, რომელიც ძალიან ცუდ მდგომარეობაშია, უბრალოდ ეშინია. ის შიშის ფაქტორი, რომელიც ნაციონალების დროს იყო, ახლა გაორმაგებულია.

– ვისი ეშინიათ?

– არაფორმალური მმართველის. გასაოცარია, თითქოს არაფერს აკეთებს ისეთს ივანიშვილი, მაგრამ მისი ცეცხლივით ეშინიათ. ეს მეტყველებს იმაზე, რომ სათავისოდ ყველაფერს სწორად აკეთებს ეს ადამიანი.

თუ ოპოზიციამ გაერთიანება მოიფიქრა, ეს უნდა მოხდეს პრეზიდენტის არჩევნებამდე, რათა 2020-სთვის დაიწყოს სერიოზული მუშაობა. შესაძლოა ვერ მოახერხონ ხელისუფლების ხელში აღება, მაგრამ რაღაცა საპირწონეს მაინც შექმნიან გაერთიანებული ოპოზიციის სახით.

ახლა ოპოზიცია უბრალოდ არ არსებობს. ნაციონალური მოძრაობა ძალიან პასიურია, ევროპულ საქართველოს არაფერი აწუხებს, ძალიან თბილად და კარგად გრძნობენ თავს. ხანდახან რაღაცას წამოიკნავლებენ ხოლმე. ასე ოპოზიცია არჩევნებს ვერ მოიგებს, ამისთვის სერიოზული დუღილია საჭირო.

როგორც ჩანს, ყველას აწყობს ეს მდგომარეობა. აწყობთ და ჰქონდეთ, ასე იქნება 2020-შიც და, როგორც ბატონმა ბიძინამ ბრძანა, 2030-შიც!

რატომ აკრიტიკებენ ამერიკელი ანალიტიკოსები ტრამპის ნაბიჯებს სირიაში

თურქული მედია: „ტრამპს არ გააჩნია პოლიტიკური გამოცდილება და სახელმწიფოს მართვის უნარი“

მარიამ მჭედლიშვილი

დასავლელი ექსპერტების აბსოლუტური უმრავლესობა განაგრძობს 13 აპრილს დასავლური კოალიციის მიერ სირიაში განხორციელებული ავიადარტყმის კრიტიკას. კომენტატორები მიუღებლად მიიჩნევენ სირიის რეჟიმს და მისი მხარდამჭერების არაადამიანურ მოქმედებებს. ამასთან, მათ არასწორად მიაჩნიათ ის, თუ როგორ რეაგირებს ამაზე დასავლეთი აშშ-ის მეთაურობით.

„ნიუ იორკ თაიმსი“ აღნიშნავს, რომ აშშ-ის პრეზიდენტმა სირიის რეჟიმზე იერიშის გადაწყვეტილება იმის გამო მიიღო, რომ უმოქმედობას მოქმედება არჩია. მოქმედებისკენ სწრაფვა ამერიკის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა. ეს ბადებს ცუდად მოფიქრებულ ინტერვენციებს და ხშირად – კატასტროფულ გრძელვადიან შედეგებს. ამერიკის პრეზიდენტები, როგორც წესი, განიცდიან პოლიტიკურ ზეწოლას. უმოქმედობას მედიაც არ იწონებს. ამის გამო ფრთხილი ლიდერებიც კი გადადიან მოქმედებებზე.

გამოცემის აზრით, ამერიკის სამხედრო ძლიერებასთან შედარებით ავიადარტყმების ფასი ძალიან დაბალია. მოქმედება უმოქმედობაზე იაფია.

2017 წელს ტრამპმა თანხმობა გასცა სირიის მიმართულებით დარტყმაზე მას შემდეგ, რაც სირიის რეჟიმმა ქიმიური იარაღი იხმარა. ვაშინგტონის ამ ნაბიჯმა ვერ გააჩერა შეტევები მშვიდობიან მოსახლეობაზე. ამან ვერ შეუშალა ხელი სირიის რეჟიმს, კიდევ გამოეყენებინა ქიმიური იარაღი.

გაზეთის თქმით, ამ ნაბიჯებით ტრამპი ეწინააღმდეგება თავის წინასაარჩევნო თეზისებს. იგი აშშ-ის სამხედრო კამპანიებს ახლო აღმოსავლეთში უგუნურს უწოდებდა და თვითონ ამის გამეორებას არ აპირებდა. კურსი ტრამპმა გაპრეზიდენტებისთანავე შეიცვალა. იგი ახლო აღმოსავლეთის კრიზისში ჩაერია.

– დონალდ ტრამპმა გამოიყენა ძალა იქ, საიდანაც გამოსვლას აპირებს, – ასკვნის „ვაშინგტონ პოსტი“.

გამოცემის აზრით, ამ ნაბიჯით თეთრი სახლის ლიდერს უნდოდა ეჩვენებინა თავისი წინამორბედი ობამას სისუსტე.

ძალა და გადამწყვეტი მოქმედებები კარგად გათვლილი სტრატეგიის თანაზომადი არ არის. თუ ასადი ქიმიურ იარაღს კიდევ გამოიყენებს, მაშინ ტრამპს უფრო მძაფრი აქციის მოწყობა მოუწევს. ეს გამოიწვევს ესკალაციას და აშშ-ის ჩარევას ურთულეს კონფლიქტში.

– ეს სირიის სტრატეგია კი არა, ფსიქოდრამაა, – აცხადებს პენტაგონის მრჩეველი, პროფესორი სტივენ ბრიდლი.

მისი თქმით, პერიოდულად ძალის დემონსტრირება, მათ შორის, ჩრდილოეთ კორეასა და ირანის მიმართ გარკვეულ დროს იმუშავებს, საბოლოოდ კი კატასტროფული შედეგით დამთავრდება.

თურქული მედიის სიტყვებით, ტრამპს არ გააჩნია პოლიტიკური გამოცდილება და სახელმწიფოს მართვის უნარი. მისი საქმიანი და პირადი ცხოვრება გამოძიების ფედერალური ბიუროს შესწავლის საგანია. თეთრი სახლის ლიდერის ტვიტები აჩვენებს, რომ იგი ომს თამაშად აღიქვამს.

აშშ-ის პრეზიდენტი დაადგა იმ გზას, რომლითაც იგი სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის არა მარტო აშშ-ს, არამედ, მთელ მსოფლიოს.

„მალე დარჩებიან მხოლოდ ბანკები და მევახშეები“

არასაბანკო სექტორისთვის, შესაძლოა, ახალი რეგულაციები ამოქმედდეს. ერთ-ერთი მათგანის თანახმად, არასაბანკო სექტორი ფიზიკურ პირებს სესხს შემოსავლების დაუდასტურებლად ვეღარ მისცემს.

დოკუმენტზე ეროვნული ბანკი მუშაობს. ამგვარ რეგულაციას აუცილებელს უწოდებს არასაბანკო ფინანსურ დაწესებულებათა ასოციაციის ხელმძღვანელი, თუმცა ამბობს, რომ სახელმწიფომ უნდა გათვალოს თანამდევი რისკებიც – როგორ მოიქცევიან ის ადამიანები, ვისაც დადასტურებული შემოსავალი არ აქვს და სხვადასხვა საკრედიტო ორგანიზაციისგან სესხს ხშირად იღებენ? არასაბანკო ფინანსურ დაწესებულებათა ასოციაციის ხელმძღვანელის ირაკლი ბერძენაძის თქმით, რეგულაციების გამკაცრებას თან ბევრი რისკიც ახლავს.

– ერთი შეხედვით კარგი ინიციატივაა, რადგან შემოსავლის დადასტურების გარეშე სესხის გაცემა არ შეიძლება. კომპანიებიც დაინტერესებული უნდა იყვნენ, რომ სესხის აღების შემდეგ მოქალაქე გადახდისუუნარო არ გახდეს. თუმცა, ასევე მნიშვნელოვანია, მზად იქნება თუ არა მოსახლეობა ამ ცვლილებისთვის.

როგორ მოიქცევიან ის ადამიანები, ვისაც არ აქვთ დადასტურებული შემოსავალი და ყოველდღიურად იღებენ სხვადასხვა სესხს? არსებობს დიდი რისკი, რომ ამ ტიპის მომხმარებელმა ე.წ. შავ ფინანსურ ბაზარს მიაკითხოს ფულის სასესხებლად.

მოდი, ვნახოთ, რა მოხდა მას შემდეგ, რაც ეროვნულმა ბანკმა ონლაინსაკრედიტო ორგანიზაციებისთვის რეგულაციები გაამკაცრა და საპროცენტო სარგებელზე 100%-იანი ზღვარი დააწესა. ბოლო ერთ წელიწადში ამ ორგანიზაციების დაახლოებით 60% ბაზრიდან გავიდა, რამდენიმემ კი სტატუსი შეიცვალა და მიკროსაფინანსო გახდა. სამაგიეროდ, ეს სეგმენტი წარმატებით აითვისეს კომერციულმა ბანკებმა. მათ დაიწყეს ონლაინკრედიტების გაცემა მაღალი საპროცენტო განაკვეთით.

„კრედიტინფო საქართველოს“ ინფორმაციით, 2016 წელს 46 ონლაინსასესხო კომპანია იყენებდა მათ სერვისს კონკრეტულ მსესხებლებზე ინფორმაციის მოსაპოვებლად, 2017 წელს კი მათი რიცხვი 22-მდე შემცირდა. საგულისხმოა ამ ონლაინსაკრედიტო ორგანიზაციების გაფორმებული სასესხო კონტრაქტებიც.

2016 წელს 4 მილიონი ერთეული ონლაინსესხის ჩანაწერი აიტვირთა „კრედიტინფოს“ ბაზაში, რაც 100%-იანი ზრდა იყო 2015 წელთან შედარებით. 2017 წელს უკვე 5 მილიონი ასეთი სესხი გაიცა.

როგორც ვხედავთ, ონლაინსაკრედიტო კომპანიების განახევრების მიუხედავად, მათი გაცემული სესხების რაოდენობა 1 მილიონით მაინც გაიზარდა, ანუ ამ ტიპის სესხებზე მოთხოვნა იზრდება და თუ ეს კომპანიები ახალი რეგულაციების ამოქმედების შემდეგ მომსახურებას ვეღარ შეძლებენ, გამოჩნდება ვიღაც სხვა, ვინც მოთხოვნას დააკმაყოფილებს. შემიძლია დარწმუნებით გითხრათ, რომ ახალი რეგულაციების ამოქმედების შემდეგ ბაზრიდან გასვლა დარჩენილ ონლაინსაკრედიტო ორგანიზაციებსაც მოუწევთ, რადგან ისინი, ძირითადად, შემოსავლის დადასტურების გარეშე გასცემენ სესხებს და სწორედ ამ ტიპის მომხმარებელი ჰყავთ. ამდენად, კომერციული ბანკების მოქმედების არეალი უფრო გაფართოვდება.

ონლაინსაკრედიტო კომპანიების მსგავსად, სწრაფ, მოკლევადიან და ძვირად ღირებულ სესხებს შემოსავლის დადასტურების გარეშე გასცემენ შპს-ები, რომლებიც, ძირითადად, ბაზრებისა და ბაზრობების მოვაჭრეებისთვის მუშაობენ. ახალი რეგულაციის ამოქმედებით, საქმიანობა მათაც შეეზღუდებათ. და სად წავა, ვის მიადგება ეს ხალხი ფულის სასესხებლად? ალბათ, იმ კატეგორიას, რომელსაც სახელმწიფო ვერ აკონტროლებს – კერძო მევახშეებს. მათ ეს რეგულაცია, ფაქტობრივად, არ და ვერ შეეხებათ, რადგან არსად არიან რეგისტრირებული და სახელმწიფოს არც მათი აღრიცხვის მექანიზმი აქვს.

რეგულაციების გამკაცრებამდე კარგი იქნებოდა სახელმწიფოს მიერ კერძო მევახშეების იდენტიფიცირება, ვინც, ფაქტობრივად, იატაკქვეშეთში საქმიანობს.

კიდევ ერთი მაგალითი, რომ მხოლოდ რეგულაციების გამკაცრებით სასურველ შედეგს ვერ მივაღწევთ: 2017 წელს მეწარმე სუბიექტებს აეკრძალათ ფიზიკური პირისგან ნებისმიერი ფორმით ფულადი სახსრების სესხება, თუ მოზიდული სახსრების ოდენობა არ აღემატება 100.000 ლარს. ეს 100.000-ლარიანი შეზღუდვა არ ვრცელდება მეწარმე სუბიექტის მიერ 20-ზე ნაკლები ფიზიკური პირისგან მოზიდულ სახსრებზე. შეზღუდვა ასევე არ ეხება კომერციულ ბანკებს, საკრედიტო კავშირებს, საბროკერო კომპანიებსა და საჯარო შეთავაზების გზით ფასიანი ქაღალდების ემისიას. მესმის, რომ უნდა იყოს მკაცრი რეგულირება, მით უფრო, რომ უამრავი ადამიანი დაზარალდა, როცა საკუთარი დანაზოგი ე.წ. ფინანსურ კომპანიებს ანდო, თუმცა, სად წავიდა ის თანხა, რომელსაც რეგულაციების გამო ეს კომპანიები ფიზიკური პირებისგან ვეღარ იღებენ? ბანკებში დეპოზიტებზე განაკვეთები ძალიან დაბალია და იმ ხალხს, ვისაც თავისუფალი ფულადი სახსრები აქვს და მათი გასესხებით შოულობს ფულს, ბანკში ამ თანხის შეტანა ხელს არ აძლევს.

ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, რომ ეს თანხა კერძო მევახშეების ხელში გადავიდა. ანუ ამ ხალხმა ფული ასესხა კერძო მევახშეებს, რომლებიც შემდეგ მას უფრო ძვირად გაასესხებენ. ანუ რეგულაციის გამკაცრებით კი გადავწყვიტეთ ე.წ. ფინანსური პირამიდების პრობლემა, მაგრამ მივიღეთ სხვა პრობლემა, რადგან ამ ფულმა უკონტროლო სივრცეში გადაინაცვლა.

ეს დასაფიქრებელია, რადგან ამ სფეროში ხშირად ფულის ამოღების კრიმინალური მეთოდები მოქმედებს.

მოკლედ, ფინანსურ ბაზარზე, ფაქტობრივად, „შუა გაიკრიფა“. მალე დარჩებიან მხოლოდ ბანკები და კერძო მევახშეები. ის, ვისაც შემოსავალი ოფიციალურად ერიცხება, სესხისთვის ბანკს მიმართავს, ვისაც არა – კერძო მევახშეებს. გამოვა, რომ რეგულაციების ამოქმედებით ფინანსური ბაზრის მოთამაშეების ნაწილი გაქრა, თუმცა მათი ადგილი სხვამ დაიკავა, საქართველოს მოსახლეობა კი ჭარბი ვალებით მსოფლიო რეკორდებს ხსნის.

ქართული კომპანია თელ-ავივის ყოფილი მერისგან მილიონებს ითხოვს

ისრაელის ქნესეტის ყოფილი წევრი რონი მილო, რომელიც ასევე იყო მინისტრი რამდენიმე მთავრობაში და ტელ-ავივის მერი, გახდა მოპასუხე საჩივარზე, რომლის განხილვაც დაიწყო ქალაქის სასამართლომ 2018 წლის 11 აპრილს.

მოსარჩელე მხარედ გამოდის ქართული კომპანია „შინაძე“, რომელიც უწევდა საკონსულტაციო მომსახურეობას რონი მილოს საკუთრებაში მყოფ კომპანიებს. პარტნიორების ინტერესთა სფერო იყო საქართველოსთვის შეიარაღების და სამოქალაქო თავდაცვის საშუალებათა მიწოდება.

სარჩელში ნათქვამია, რომ მილოს კომპანია მუშაობდა ისრაელში სამხედრო საწარმოებთან და უზრუნველყოფდა მათ მიერ კონტრაქტის მიღებას საქართველოში, რაშიც იღებდა საკომისიოს გარიგების 33% ოდენობით. შეთანხმება „შინაძესთან“ ითვალისწინებდა მოგების გაყოფას.

მომჩივანის განცხადებით, პარტნიორებს შორის სუფევდა სრული ნდობის ატმოსფერო – „შინაძეში“ ელოდნენ მილოს კომპანიისგან სრულ განმარტებას მიღებული სახსრების თაობაზე, თუმცა, მათ ეს ინფორმაცია არ მიუღიათ – ყოფილმა დეპუტატმა და მერმა უარი თქვა თავისი თბილისელი პარტნიორებისთვის ანგარიშის ჩაბარებაზე.

საჩივარში ასევე ნათქვამია, რომ შეთანხმების შესრულების მოთხოვნის საპასუხოდ, მილოს სტრუქტურებმა წამოიწყეს ფართომასშტაბიანი კამპანია და სხვადასხვა საბაბით მოითხოვდნენ „შინაძეს“ მფლობელებისგან კონტრაქტების შესახებ ინფორმაციის უფლებაზე უარის თქმას. მომჩივანი განიხილავს ამას, როგორც პირდაპირ ზეწოლას.

ამის გარდა, რონი მილომ გამოიყენა თავისი კავშირები საქართველოს ფინანსთა სამინისტროში, რის შედეგადაც უწყებამ განახორციელა „შინაძეს“ საქმიანობის შემოწმება, რომლის დროსაც კომპანიის მფლობელებისგან მოითხოვდა მილოს მიმართ პრეტენზიებზე უარის თქმას.

საქართველოში ებრაული კომპანიების „Elbit“-ის და RAFAEL-ის მიერ ხელმოწერილი კონტრაქტების ფინანსური მოცულობიდან გამომდინარე, მილოს ყოფილმა პარტნიორებმა გაიკეთეს დასკვნა, რომ მათი ზარალი აღწევს მილიონობით შეკელს – ამის შესახებ განაცხადა „შინაძეს“ ადვოკატმა ილან სოფერმა.

ტელ-ავივის ყოფილი მერის კომპანია კატეგორიულად უარყოფს ბრალდებებს და აცხადებს, რომ კონტრაქტი იყო ხელმოწერილი „შინაძეს“ ყოფილ მფლობელებთან და დღევანდელ მომჩივანთ არაფერი საერთო არა აქვთ იმ გარიგებებთან.

მოპასუხის ინფორმაციით, მხარეების მიერ დადებულ ხელშეკრულებაში ნათქვამია, რომ მფლობელობის შეცვლის შემთხვევაში ყველა საკითხი უნდა გადაწყდეს მხოლოდ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

ბათუმში მშენებარე სტადიონისთვის ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა წლიდან წლამდე იზრდება

ბათუმში მშენებარე სტადიონისთვის ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა წლიდან წლამდე იზრდება. პროექტი 2020 წელს უნდა დასრულდეს. აჭარის მთავრობას კი ამ ეტაპზე არ აქვს კონკრეტული გეგმა, თუ როგორ და ვინ უნდა გამოიყენოს 157 მილიონ ლარად ღირებული ნაგებობა.

12 წლის წინ ბათუმის ერთადერთი დიდი საფეხბურთო მოედანი ბათუმის ბულვარში სასტუმროს მშენებლობას შეეწირა. მაშინდელი პრეზიდენტი, მიხეილ სააკაშვილი ბათუმელებს ახალ, თანამედროვე სტანდარტების სტადიონს დაჰპირდა. 2012 წელს ბათუმის მთავრობამ სტადიონის მშენებლობისთვის 1 მილიონი ლარი მიიღო ცენტრალური ბიუჯეტიდან. სააკაშვილის მთავრობის შეცვლამ კი პროექტიც შეაჩერა.



დღემდე საფეხბურთო კლუბ „დინამო ბათუმს“ მატჩების ჩატარება სხვა ქალაქების მოედნებზე უწევს. კლუბი მთელი წლის მანძილზე, საკუთარ მოედანზე, საშუალოდ, 35 შეხვედრას მართავს. მათ თამაშებს, საშუალოდ, 3,000 მაყურებელი ესწრება.

ორ წელიწადში ბათუმს 20,000 ადამიანზე გათვლილი ახალი სტადიონი უნდა ჰქონდეს. პროექტს შპს „სტადიონი“ ახორციელებს, რომელიც აჭარის მთავრობის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ 2015 წელს ბათუმში საავადმყოფოს და სტადიონის მშენებლობისთვის შექმნა. მშენებელი შპს „ანაგა,“ რომელმაც სამუშაოები 2018 წლის იანვარში, ყოფილი მანქანათმშენებელი ქარხნის ტერიტორიაზე, 8 ჰექტარ მიწაზე დაიწყო.

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, აჭარის მთავრობამ სტადიონის ადგილმდებარეობაც შეცვალა, მისი პროექტიც და ბიუჯეტიც. რეგიონის ახალმა ხელისუფლებამ თავდაპირველად სტადიონის ასაშენებლად (2015-17 წლებში) 38 მილიონი ლარი გათვალა. დღეს კი ამბობს, რომ პროექტისთვის 157 მილიონ ლარზე მეტი უნდა დაიხარჯოს. მშენებლობის დასრულებამდე 2 წელია დარჩენილი და შესაძლოა, ეს თანხაც გაიზარდოს.

სტადიონის პროექტის შექმნაზე პირველად კონკურსი 2014 წელს გამოცხადდა, რომელიც ესპანურმა კომპანიამ IBERPROEX ENGINEERING & PROJECT MANAGEMENT, S.L.-მა მოიგო. თუმცა, 2015 წელს ხელშეკრულება გაუქმდა. სამინისტრო ხელშეკრულების ცალმხრივად გაუქმების ოფიციალურ მიზეზად კონტრაქტორის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობას ასახელებს.

ესპანური კომპანია კი „ბათუმელებთან“ ანტიკორუფციული სააგენტოს მხრიდან ზეწოლასა და აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ კანონის უხეშ დარღვევაზე საუბრობდა, რამაც კომპანიის თქმით, შეთანხმებულ ვადებში სამუშაოების შესრულება შეუძლებელი გახადა. კომპანიასა და აჭარის მთავრობას შორის, ხელშეკრულების მოშლის გამო, სასამართლოში დავა უკვე დიდი ხანია მიმდინარეობს.

2015 წლის 5 აგვისტოს აჭარის მთავრობამ განაცხადა, რომ ოლიმპიური სტადიონის ნაცვლად, საფეხბურთო მოედანს ააშენებდა. მიზეზად ნაგებობისთვის განკუთვნილი ტერიტორიის სიმცირე დასახელდა. სტადიონის პროექტზე ხელახლა გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად თურქული კომპანია BAHADUR KUL ARCHITECTS დასახელდა. შპს „ანაგი“ საფეხბურთო მოედანს სწორედ მათ მიერ მომზადებული პროექტით აშენებს.

მიხეილ სააკაშვილმა მისი პრეზიდენტობის ბოლო წლებში ფეხბურთში ევროპის ჩემპიონატის, „ევრო-2020“-ის აზერბაიჯანთან ერთად მასპინძლობის სურვილი რომ გამოთქვა, „უეფამ“ მაშინ უარი ქვეყანაში სტადიონების არქონის გამო გვითხრა. მათი სტანდარტით, ჩემპიონატის მასპინძელ თითოეულ ქვეყანას თბილისის „დინამოს“ მსგავსი 4 სტადიონი მაინც უნდა ჰქონოდა.

ბათუმში მშენებარე სტადიონი კი სწორედ „უეფას“ მეოთხე კატეგორიას მიეკუთვნება. ამ კატეგორიის მოედნებზე, სულ მცირე, 8,000 ადამიანი უნდა ეტეოდეს. „დინამო ბათუმის“ თამაშებს, მაქსიმუმ, 3,000 მაყურებელი ესწრება. ანუ, 8,000 ადგილიანი სტადიონი ბათუმის მოსახლეობის მოთხოვნას სრულად დააკმაყოფილებდა, ბიუჯეტიდან კი მისთვის ნაკლები თანხა დაიხარჯებოდა. მაშინ რატომ აშენებს მთავრობა სტადიონს, რომელიც ვერ დაგვეხმარება საერთაშორისო შეჯიბრებების გამასპინძლებაში და სადაც „დინამო ბათუმის“ თამაშებზე 17,000 ადგილი ცარიელი დარჩება? აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში ამ კითხვაზე ვერ გვიპასუხეს.

საქართველოში საბჭოთა პერიოდის შემდეგ დიდი სტადიონი არ აშენებულა. შესაძლოა, სწორედ გამოცდილების ნაკლებობა იყოს პრობლემის ნაწილი, ამბობს ბელგიური კომპანია EUROPEAN CONNECTION BVBA-ს ქართველი დამფუძნებელი ნიკოლოზ გაბრიჩიძე.

მისი კომპანია, ძირითადად, ჰოლანდიისა და ბელგიის პირველი ლიგის გუნდებისთვის 20,000-მდე ტევადობის „უეფას“ სტანდარტის სტადიონებს აშენებს. ტენდერის შესახებ იცოდნენ, თუმცა მონაწილეობაზე თავიდანვე თქვეს უარი. გაბრიჩიძის თქმით, უფრო რთულია სახელმწიფო სტრუქტურებთან და მთავრობის ბიუჯეტზე გათვლილ მშენებლობაზე მუშაობა, ვიდრე კერძო დამკვეთთან.

გაბრიჩიძის განცხადებით, საქართველოში ყოველთვის იყო ემოციური მიდგომა მშენებლობის მიმართ და ძირითადად, არ ხდება გათვლები მიზნობრიობაზე. მისთვის გაუგებარია, რატომ აშენებს ქვეყანა 20,000 ტევადობის სტადიონს და იხდის მილიონებს მხოლოდ იმიტომ, რომ დააკმაყოფილოს „უეფას“ ტოპ კატეგორია, მაშინ როცა, იგივე კატეგორიის 8,000-იანი სტადიონის აშენება ბევრად იაფი დაჯდება.

„ნანახი მაქვს ბათუმის სტადიონის პროექტი,“ – გვითხრა გაბრიჩიძემ, – „არის ეფექტური, ლამაზი და შეიძლება საფოსტო ბარათზეც კარგად გამოიყურებოდეს და რამდენიც ეტევა, ეტევა. ასეთი მიდგომით განისაზღვრა ტევადობა, ჩემი აზრით და არა გათვლებით. ან უნდა ააშენო 8-10 ათასიანი, მინიმუმ და სტადიონი დააკმაყოფილებს მეოთხე კატეგორიას და იქ შეიძლება ევროპის ჩემპიონატის ფინალის გარდა ყველა მატჩის, ჯგუფური თამაშების და შესარჩევი თამაშების ჩატარება ან უნდა ააშენო, რა თქმა უნდა, 30-35 ათასიანი და მერე იქ ფინალიც ჩატარდება და „დინამოს“ გარდა (54,000 ტევადობა), კიდევ ერთი სტადიონი იქნება საქართველოში მსოფლიო კლასის.“

სპეციალისტები ამბობენ, რომ დახარჯული მილიონების უკან დასაბრუნებლად და მომავალში მოგების მისაღებად, სტადიონის ფუნქციონირების დეტალური გეგმა მის მშენებლობამდე უნდა არსებობდეს. ასევე გარკვეული უნდა იყოს, თუ ვინ გაუწევს მენეჯმენტს ახლად აშენებულ სტადიონს. აჭარის მთავრობას ჯერ არ უფიქრია ამ საკითხზე და გვიპასუხეს, რომ „ამ დროისთვის მიმდინარეობს მშენებლობის პროცესი, რაც არ საჭიროებს ოპერატორი კომპანიის არსებობას.“

დიდი ზომის სტადიონებზე, სპორტული მატჩების გარდა, კონცერტების გამართვაც შესაძლებელია. სწორედ მისი მრავალმხრივი დატვირთულობა ხდის სტადიონს შემოსავლიანს ისე, რომ მძიმე ტვირთად არ დააწვეს რეგიონის ბიუჯეტს. სტადიონზე ღონისძიებების დაგეგმვა კი სწორედ ოპერატორი კომპანიის მოვალეობაა.

საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე, კახა კანდელაკი წარსულში კომპანია Eastern Promotion-ის ერთ-ერთი დამფუძნებელია, რომელსაც წლების განმავლობაში ცნობილი მუსიკოსები ჩამოჰყავდა საქართველოში. კანდელაკი თვლის, რომ ოპერატორი კომპანიის გამოცდილება სტადიონისთვის მნიშვნელოვანია, რადგანაც „როცა სტადიონზე ცნობილი ვარსკვლავის კონცერტს აკეთებ, ფული მეათეხარისხოვანია. პირველ რიგში გეკითხებიან, რომელ საერთაშორისო პროდაქშენ კომპანიასთან გიმუშავია.“

კანდელაკი მიიჩნევს, რომ კარგად გათვლის შემთხვევაში, სტადიონი ქალაქისთვისაც მომგებიანი იქნება. მისი თქმით, კონცერტების პერიოდში, ქალაქის შემოსავალი იზრდება. მაგალითად, თუ ნიუ ორლეანის ჯაზ ფესტივალზე ადგილობრივმა მუნიციპალიტტმა 70 მილიონი დახარჯა, რამდენიმე დღეში, მოგების სახით, 300 მილიონს იღებს. გარდა ამისა, რესტორნები, მაღაზიები და სასტუმროები, ფესტივალის მხარდასაჭერად, დამატებით გადასახადს იხდიან, რადგან ამ დროს სწორედ ფესტივალი ხდის მათ ბიზნესს შემოსავლიანს.

ამიტომაც კანდელაკი თვლის, რომ სტადიონის ინფრასტრუქტურის კონცერტებზე მორგება დღესვე უნდა დაიწყოს. მისი თქმით, უამრავი ნიუანსია, რომელზეც ახლაა საჭირო ფიქრი, ძალიან მაღალ დონეზეა გასათვლელი ყველა დეტალი. მაგალითად, როცა 25 ტონა აპარატურა შემოდის სტადიონზე, უნდა გავითვალიწინოთ, არის თუ არა შესასვლელი გათვლილი ამ ზომის ტრაილერებზე, პარკინგი როგორ არის მოწყობილი, როგორია ბალახის საფარი. შესაძლოა 10 დღე დასჭირდეს მოედნის დაფარვა-აღებას, და თუ არ არსებობს სპეციალური მოწყობილობა, ბალახი შეიძლება გახმეს.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, კულტურის მინისტრის მოადგილის განცხადებით, კონცერტების დროულად დაგეგმვაა, რადგანაც მსოფლიო დონის მუსიკოსები ტურებს მინიმუმ 2 წლით ადრე ადგენენ.

– განრიგში უნდა ჩაჯდე. ცოტა ხნის წინ Cirque de Soleil-ის პრეზიდენტს შევხვდი ლონდონში, რომელსაც 2021 წლამდე აქვს გაწერილი მუსიკოსების ტური. Coldplay დღეს მეუბნება, რომ 2020-ში მივცე დაკვეთა. ეს ყველაფერი ახლა თუ არ დაგეგმე, არანაირი კონცერტი არ გექნება,“, – ამბობს კანდელაკი.

ბორის პაიჭაძის სახელობის „დინამოს“ სტადიონის დირექტორმა, ვიტალი გულორდოვამ გვითხრა, რომ 2017 წელს ადმინისტრაციულმა და კომუნალურმა ხარჯებმა 1.8 მილიონი ლარი შეადგინა. მიმდინარე წელს გულორდავა, ელექტროენერგიაზე ფასის ზრდის გამო, 2.2 მილიონი ლარის ხარჯს პროგნოზირებს. თუკი თბილისის „დინამო“ 2.2 მილიონ ლარს გადაიხდის, სავარაუდოდ, ბათუმის სტადიონს 800 ათასზე მეტი დასჭირდება. ეს თანხა კი ისევ გადასახადების გადამხდელებს დააწვება, რადგან აჭარის მთავრობას ამ დრომდე არ აქვს გათვლილი, როგორ გახადოს სტადიონი მომგებიანი.

„ვითიბი ბანკი“ მომხმარებელს საკრედიტო ისტორიის გასუფთავების უნიკალურ შესაძლებლობას აძლევს

„ვითიბი ბანკი“ მომხმარებელთან ურთიერთობის ახალ ეტაპზე გადადის. როგორც „კომერსანტს“ ბანკიდან აცნობეს, „ვითიბი ბანკის“, როგორც სოციალურად პასუხისმგებელი ფინანსური ინსტიტუტის მიზანია, მომხმარებელთან დაამყაროს გრძელვადიანი, პარტნიორული ურთიერთობა. სწორედ ამ პოზიციის გასამყარებლად, „ვითიბი ბანკი“ მომხმარებელთან ურთიერთობის ახალ ეტაპზე გადადის.

პირველად ქართულ საბანკო სივრცეში „ვითიბი“ საკუთარ, 12,000-მდე ფიზიკურ პირ პრობლემურ მსესხებლებს, აძლევს შესაძლებლობას მიიღონ მნიშვნელოვანი დისკონტი სესხის მიმდინარე ძირზე და დარიცხულ პროცენტზე, მოახდინონ ბანკის მიმართ დავალიანების სრულიად ანულირება და გაიუმჯობესონ მიმდინარე საკრედიტო ისტორია. აღსანიშნავია, რომ აქციის პერიოდში ამ სესხზე ვადაგადაცილების ჯარიმის და საურავების მოთხოვნა არ განხორციელდება. აღნიშნული წინადადება მოქმედებს ორი თვის განმავლობაში (16 აპრილიდან 15 ივნისამდე) და ეხება მხოლოდ იმ ფიზიკური პირებს, რომლებიც სარგებლობდნენ სამომხმარებლო ტიპის სესხებით.

„ვითიბი ბანკის“ საცალო ბიზნესის დირექტორი ვალერიან გაბუნია:

– ჩვენი სურვილია, შესაძლებლობა მივცეთ იმ ადამიანებს, რომელთაც ბანკის მიმართ სამომხმარებლო ტიპის პრობლემური დავალიანება გააჩნიათ, მნიშვნელოვანი დისკონტით მოახდინონ ბანკის მიმართ ვალდებულების დაფარვა. დისკონტი 30%-დან 90%-მდე მერყეობს და ვრცელდება როგორც სესხის ძირზე, ასევე დარიცხულ პროცენტზე, ხოლო აქციის განმავლობაში ბანკი არ გამოიყენებს ვადაგადაცილების ჯარიმის და საურავების მოთხოვნის უფლებას, რაც კიდევ უფრო გაამარტივებს ბანკის მიმართ ვალდებულების დაფარვას.

ეს უნიკალური შესაძლებლობაა მათთვის, ვისაც საკრედიტო ისტორიის გაუმჯობესების სურვილი აქვს. ამ კამპანიის წამოწყებით, რომელიც მხოლოდ ორ თვეს გრძელდება, ვითიბი ბანკი სცდება ტრადიციული სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებს და ხაზს უსვამს, რომ მისთვის ყველა მომხმარებელი თანაბრად მნიშვნელოვანია.

„ბანკები გვევლინება რიგითი მოქალაქეების ჭარბვალიანობის პრობლემების დამძიმების მექანიზმად და არა ბიზნესის განვითარების ლოკომოტივად“

ფინანსთა მინისტრი მამუკა ბახტაძე მიიჩნევს, რომ კაპიტალთან წვდომა, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა საქართველოში. არადა, მრავალფეროვანი ეკონომიკა მნიშვნელოვანია, რათა ბიზნესმა ხელი შეუწყოს ერთმანეთს განვითარებაში. ახალ ინიციატივაზე საუბრისას ბახტაძემ განაცხადა ისიც, რომ საქართველოს საბანკო სისტემა უნდა იყოს არა ეკონომიკის განვითარების მუხრუჭი, არამედ მისი მამოძრავებელი ძალა. თუმცა მინისტრის თქმით, საქართველოში სხვა რეალობაა.

ფინანსთა მინისტრის ახალ ინიციატივაზე რადიო „კომერსანტის“ გადაცემაში „კომერსანტის თემა სალომე სოსელიასთან ერთად“ ისაუბრა ეკონომიკის ექსპერტმა მიხეილ დუნდუამ.

– ამუხრუჭებს საბანკო სექტორი ეკონომიკის განვითარებას ქვეყანაში?

– საბანკო სექტორი უნდა გახდეს ეკონომიკის მამოძრავებელი ლოკომოტივი და არა მისი მუხრუჭი. სამწუხაროდ, დღეს ბანკები გვევლინება რიგითი მოქალაქეების ჭარბვალიანობის პრობლემების დამძიმების მექანიზმად და არა ბიზნესის, მცირე და საშუალო მეწარმეების განვითარების ლოკომოტივად. ამიტომაც ინიციატივა, რომელიც გააჟღერა მინისტრმა, გულისხმობს იმას, რომ ხელმისაწვდომი გახდეს ფინანსები მეწარმეებისათვის, რათა მათ ნახევარ მილიონამდე სესხის შემთხვევაში მხოლოდ 5%-იანი თანამონაწილეობით შეძლონ საქმის დაწყება-წარმოება, სადაც ნახევარს აიღებს საბანკო სექტორი სესხის სახით, 45%-ს კი საპარტნიორო ფონდი. ეს იქნება მომგებიანობის მაჩვენებელი 5-7% კაპიტალზე, ანუ ორიენტირებული იქნება გრძელვადიან მიზნებზე და არა 15-18 %-ზე, რასაც დღეს საპარტნიორო ფონდში ვხვდებით. ასე რომ, ეს პროცესი არის ხელშემწყობი და გარანტი მცირე მეწარმეობის განვითარება.

– რაც შეეხება ქართულ ბანკებს და მათ მომგებიანობას. გავრცელებული მოსაზრებით, საბანკო სექტორი ყველაზე განვითარებულია არა მხოლოდ საქართველოში, არამედ ბევრ ქვეყანაში. თქვენ არ ეთანხმებით ასეთ შეფასებას?

– საქართველოს საბანკო სექტორი მომგებიანობის თვალსაზრისით ევრაზიის კონტინენტზე არის პირველ ადგილზე ისეთი სახელმწიფოების მხარდამხარ, როგორიც არის აფრიკის ჩამორჩენილი ქვეყნები, ოკეანეთის აზიური სახელმწიფოები, ლათინო ამერიკის ქვეყნები. ამ დონეზე მისი მაჩვენებელი მსოფლიოს საუკეთესო ოცეულშია. ეკონომიკა გაქვს მსოფლიო საუკეთესო ოცეულში? არ გაქვს. ბუნებრივია, მათი მომგებიანობა ეფუძნება ჭარბვალიანობის პრობლემას, არაკვალიფიციური სესხებიდან მიღებულ შემოსავლებს.

– როდესაც ეკონომიკის ზრდა საშუალოდ 4%-ის ფარგლებში გაქვს, რთულია საბანკო სექტორმა ბაზარზე 2%-იანი სესხები გამოიტანოს. თქვენ მაინც მიიჩნევთ, რომ დღეს არსებული რეალობით საპროცენტო განაკვეთები გაცილებით დაბალი უნდა იყოს?

– რა თქმა უნდა, შესაძლებელია პროცესის ორიენტირება სწორი მიმართულებით. დამაბრკოლებელი არ არის 5 %, 25 % უნდა იყოს ეკონომიკური ზრდა, რომ კომერციულმა ბანკმა სესხი დაწიოს? ასეთი კორელაცია არ არსებობს, ასეთი რამ არ მოხდება.

– თქვენ რაში ხედავთ გამოსავალს?

– რეფორმა, რომელიც დაანონსდა, უნდა განხორციელდეს და ასევე უნდა მოვიფიქროთ მექანიზმები, რათა ფიზიკური პირების დაკრედიტების დროს მაქსიმალურად იყოს დაცული არა კვალიფიციური მსესხებლების მთელი ქონების დასაკუთრება, როდესაც სესხს გასცემს, არამედ კონკრეტული უზრუნველყოფით. ჩვენ დღეს ეს მოცემულობა არ გვაქვს. დღევანდელი საკრედიტო ხელშეკრულებები, რომელიც რიგით მოქალაქეებზეა გაფორმებული, იძლევა იმის საშუალებას, რომ შეფერხების შემთხვევაში ბანკმა მთელი მისი უძრავ-მოძრავი ქონება დაისაკუთროს. ეს შეიძლება მოგვარდეს საკანონმდებლო ინიცირების გზით.

თამარ გამრეკელაშვილის დედა ვეფხია ბაქრაძეს ორი კვირის წინ ცოლად გაჰყვა

ნათელა გობაძე: „ვეფხიამ კუმისში ჯაჭვებით დამაბა და ფიზიკურად ძალადობდა ჩემზე“

ჩვენ უკვე ვწერდით, რომ 13 აპრილს თბილისში, ბარნოვის 77 ნომერში 25 წლის თამარ გამრეკელაშვილს ყელი მცირეწლოვანი შვილების თანდასწრებით გამოჭრეს. საცხოვრებელ სახლში მეზობლები ბავშვების განწირული ყვირილის შემდეგ შევიდნენ. მკვლელობის მთავარი მოწმეები მოკლულის 3 და 6 წლის შვილები არიან. სწორედ მათგან გახდა ცნობილი სავარაუდო მკვლელის, ვეფხია ბაქრაძის, ვინაობა.

ვეფხია ბაქრაძის შვილმა პირველი ქორწინებიდან, ლიკა ბაქრაძემ მომხდართან დაკავშირებით რუსთავი 2-თან კომენტარი გააკეთა:

– ბავშვების თვალწინ რისთვის გააკეთა?! ყველა დეტალი მინდა გავიგო და პირადად გამოძიებას მივმართავ, რომ ყველა დეტალი მაინტერესებს. ახლა მოვისმინე, რომ ბენზინი დაუსხიაო, პოლიციის განყოფილებაშიც ვიყავი, ყველას ველაპარაკე და რატომ იმ დღესვე არ თქვა არავინ, რომ ბავშვებს ბენზინის სუნი ასდიოდათო?!

მისივე თქმით, თაკო გამრეკელაშვილის დედამ, ნათელა გობაძემ, თაკოს მკვლელობამდე რამდენიმე დღით ადრე, ვეფხია გობაძესთან იქორწინა.

თავად ნათელა გობაძე ადასტურებს, რომ ვეფხია ბაქრაძესთან ნამდვილად იქორწინა. გობაძე ამბობს, რომ თუ მასთან ერთად იუსტიციის სახლში ხელის მოსაწერად არ წავიდოდა, ფიზიკურად გაუსწორდებოდა.

– დამემუქრა, თუ ხელს არ მოვაწერდი, ყელს გამომჭრიდა. ხელი იუსტიციის სახლში მიმდინარე წლის 30 მარტს მოვაწერეთ. იძულებული გავხდი, გავყოლოდი, არ გავუძალიანდი, რადგან შემაკავებელი ორდერის დაწერას ვგეგმავდი და ამისთვის ვემზადებოდი, რომ ვიდეო და აუდიო მტკიცებულებები შემეგროვებინა. გარდა ამისა, მე უცხოეთში წასასვლელად ვემზადებოდი.

მისი მხრიდან ჩემზე ფსიქოლოგიური და ფიზიკური ზეწოლა იყო. საპყრობილე რომ დატოვა, მალევე სამსახურთან დამხვდა, ფეხები შემიკრა და კუმისში წამიყვანა, სადაც ახლად ნაყიდი სახლი ჰქონდა. იქ ჯაჭვებით დამაბა და ფიზიკურად ძალადობდა. რამდენიმე დღე ასე ვიყავი, მერე წამლები მომიტანა და მასმევდა, ასე ვიყავი 2 კვირის განმავლობაში. სამსახურში დამარეკინა, რომ ცუდად ვიყავი და ვერ მივიდოდი, – იხსენებს გარდაცვლილის დედა.

ნათელა გობაძის თქმით, ვეფხია ბაქრაძის ციხეში ყოფნის პერიოდში განცხადება დაწერა, თუმცა არა გათავისუფლების მოთხოვნით, არამედ მისი შვილის სოციალური დახმარების საკითხზე.

– ვეფხია რაც ციხეში იყო, იმ პერიოდში ორჯერ ვიყავი მასთან. ორჯერვე მისი დაჟინებული თხოვნით. ერთხელ დამირეკა და მითხრა, რომ ლიკას, თავის შვილს, სოციალურ დახმარებას არ აძლევდნენ და ჩემი განცხადება იყო საჭირო. მე დავთანხმდი და ვუთხარი, რომ ლიკას გამო ამას გავაკეთებდი.

მე და ლიკა წავედით ავლაბარში, ზუსტად არ მახსოვს, რა დაწესებულება იყო და დავწერე განცხადება ორი სიტყვით – „შეიწყალეთ ვეფხო“. ლიკამაც მოაწერა ხელი. მერე გაირკვა, რომ უარი მოვიდა ჩვენს განცხადებაზე. როგორც ახლა ვიგებ, ეგ ყოფილა ის განცხადება, რომ ის ციხიდან გამოსულიყო. რომ მცოდნოდა, ამას რატომ დავწერდი? მე ვიფიქრე, რომ ლიკას დავეხმარები-მეთქი, – აღნიშნა ნათელა გობაძემ.

პრაიმტაიმის ცნობით, ვეფხია ბაქრაძე ნათელა გობაძეზე სისტემატურად ძალადობდა. მაგალითად, 2014 წელს მან ყოფილ მეუღლეს თავის არეში ქვით დაზიანებები მიაყენა.

– პათოლოგი იყო და არ ურიგდებოდა ნათელა. ის კი დაჟინებით სთხოვდა შერიგებას. ბათუმში ყვავილებით ჩააკითხა, ეუბნებოდა, ზღვისკენ გავისეირნოთო, დახრჩობა უნდოდა მისი. რომ არ გაჰყვა, ქვით გაუჩეჩქვა თავი, – იხსენებს ნათელა გობაძის ნათესავი.

გამოცემის ინფორმაციით, ვეფხვია ბაქრაძე ყოფილ მეუღლეს თავს 2014 წელსაც დაესხა და სხეულზე მრავლობითი დაზიანებები მიაყენა, რის შემდეგაც ის დააკავეს.

2015 წელს სასამართლომ სხეულის დაზიანების ბრალდებით ბაქრაძე პასუხისგებაში მისცა, თუმცა ის მალევე პრეზიდენტმა შეიწყალა და საპატიმრო 2017 წლის 25 მაისს ვადაზე ადრე დატოვა.

ახლობლების გადმოცემით, პრეზიდენტის მიერ შეწყალებული ვეფხვია ბაქრაძე ყოფილ მეუღლეზე ძალადობას ციხიდან გათავისუფლების შემდეგაც განაგრძობდა. ფსიქოლოგიური ზეწოლის გამო ნათელა გობაძემ კვლავ პოლიციას მიმართა.

მოკლული გოგონას მამა მკვლელისთვის უვადო პატიმრობას ითხოვს

პრეზიდენტი მარგველაშვილი განმარტავს, რატომ შეიწყალა თავის დროზე ვეფხია ბაქრაძე

გასულ კვირას, იმ ტრაგიკულ დღეს, ვაკე-საბურთალოს პოლიციის განყოფილებამ ვეფხვია ბაქრაძის მიმართ შემაკავებელი ორდერი გამოწერა, თუმცა ამ დოკუმენტით მოძალადის შეკავება შეუძლებელი აღმოჩნდა.

როგორც გამოცემასთან ოჯახის ახლობლები ამბობენ, ბოლო პერიოდში ბაქრაძე ყოფილ მეუღლეზე სისტემატურად ძალადობდა და შვილის მოკვლითაც არაერთხელ დაემუქრა. სწორედ ამის გამო მიმართა ნათელა გობაძემ ვაკე-საბურთალოს პოლიციის განყოფილებას შემაკავებელი ორდერის გამოცემის თხოვნით.

13 აპრილს დედასთან ერთად პოლიციის განყოფილებაში იმყოფებოდა თამარ გამრეკელაშვილიც, რომელმაც პირადი მიზეზების გამო განყოფილება უფრო ადრე დატოვა.

ვეფხვია ბაქრაძის მიმართ შემაკავებელი ორდერი მკვლელობამდე ორი საათით ადრე გამოიცა, რის საფუძველზეც მას ყოფილ მეუღლესთან სატელეფონო კომუნიკაციაც კი აეკრძალა.

ახლობლების გადმოცემით, სწორედ ამის შემდეგ ბაქრაძე მივიდა ბარნოვის №77-ში, სადაც თამარ გამრეკელაშვილი ორ მცირეწლოვან შვილთან ერთად ქირით ცხოვრობდა.

თავდამსხმელმა იცოდა რა, რომ თამარის მეუღლე სამუშაოდ საზღვარგარეთ იმყოფებოდა, ახალგაზრდა ქალს ორი მცირეწლოვანი შვილის თანდასწრებით ყელის არეში სასიკვდილო ჭრილობები მიაყენა, რის შემდეგაც მეორე სართულის ფანჯრიდან გადახტა და ნაფარეულის ქუჩის გავლით მიიმალა.

ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში ვეფხია ბაქრაძე სოლოლაკში შინდისის ქუჩაზე ცხოვრობდა. მან იქ საცხოვრებელი ოთახი აპრილის დასაწყისში იქირავა და როგორც ირკვევა, მკვლელობის შემდეგ მან სწორედ აღნიშნულ საცხოვრებელში გაიარა, სისხლიანი ტანსაცმელი გამოიცვალა და მიიმალა.

სამართალდამცველებმა შინდისის ქუჩაზე ჩხრეკა 14 აპრილს დილითვე ჩაატარეს და ნივთმტკიცებებიც ამოიღეს. „პრაიმტაიმის“ ინფორმაციით, საგამოძიებო მოქმედებები მიმდინარეობდა კუმისის აგარაკებსა და მცხეთის რაიონშიც, სადაც, სავარაუდოდ, ბრალდებული უძრავ ქონებას ფლობს.

ცნობილია ისიც, რომ 45 წლის ვეფხია ბაქრაძე წარსულში შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში სულ რაღაც ერთი წელი მუშაობდა და სამსახური მალევე დაატოვებინეს. 2015 წლამდე ბრალდებული კიდევ ერთხელ იყო ნასამართლევი. ბაქრაძე 2009 წელს, სისხლის სამართლის კოდექსის 129-ე მუხლით გასამართლეს, რაც გულისხმობს „სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში მყოფისთვის აუცილებელი და აშკარად გადაუდებელი დახმარების გაუწევლობას, თუ დამნაშავეს შეეძლო მისი დახმარება, თავისთვის ან სხვისთვის სერიოზული საფრთხის შექმნის გარეშე, აგრეთვე, დახმარების საჭიროების შესახებ, სათანადო დაწესებულებისთვის ან პირისთვის შეუტყობინებლობას“.

სამართალდამცველებმა 24-საათიანი სამძებრო სამუშაოების შემდეგ სასტიკ მკვლელობაში ბრალდებული ბაქრაძე თელეთის დასახლებაში დააკავეს.

***

გუშინ საღამოს პრეზიდენტმა მარგველაშვილმა ვეფხია ბაქრაძის შეწყალების შესახებ განცხადება გააკეთა.

გიორგი მარგველაშვილმა ბრიფინგზე იმ გარემოებებზე ისაუბრა, რომელთა გამოც შეწყალების კომისიამ ვეფხია ბაქრაძის შეწყალების გადაწყვეტილება მიიღო.

პრეზიდენტის თქმით, კომისიას სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან ვეფხია ბაქრაძეზე მხოლოდ დადებითი დასკვნა ჰქონდა მიღებული. კომისიაში არ ყოფილა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ბაქრაძეს ექვსჯერ ეთქვა შეწყალებაზე უარი.

პრეზიდენტი ფიქრობს, რომ მსგავსი დასკვნები საკმარისი არ არის პირის შესაწყალებლად. მისი თქმით, აუცილებელია უფრო ფართო ჩართულობა და დამატებითი მექანიზმის შემუშავება, რათა არ მოხდეს მსგავსი პირების გათავისუფლება ან მათთვის სასჯელის შემსუბუქება.

– თუ არსებობდა რაიმე ინფორმაცია, რის საფუძველზეც მერე ექვსჯერ ეთქვა უარი, ეს ინფორმაცია ჩვენთან რატომ არ იყო მოსული? – პირიქით, უაღრესად დადებითი დახასიათებაა.

ჩვენ არ ვეყრდნობით მხოლოდ სასჯელაღსრულებას და დაგისახელეთ სხვა ფაქტორებიც. ის, რომ ეს საკმარისი არ არის, ის, რომ სავარაუდოდ, ბოლომდე ვეღარ ვენდობით ამ დასკვნებს და ის, რომ დამატებითი მექანიზმები ჩვენ თვითონ უნდა შევიმუშაოთ, ფაქტია.

ის, რომ ადამიანი, რომელიც დღეს ბრალდებულია ასეთ საშინელ დანაშაულზე, ჩვენ ამ ადამიანზე ფაქტობრივად, რაღაცა ინფორმაცია დაგვაკლდა – ეს ფაქტია, თუმცა რანაირად უნდა გაკეთდეს ეს, სწორედ ამაზე ვიწყებთ კონსულტაციას და არა მარტო სახელმწიფო უწყებებთან... ეტყობა, უნდა გავზარდოთ იმ ადამიანთა რიცხვი, არა მარტო სახელმწიფო უწყებების, არამედ იმ ადამიანებისა, ვინც მოგვაწოდებს თავის მოსაზრებას, – განაცხადა პრეზიდენტმა.

***

თამარ გამრეკელაშვილის მამა მკვლელის უმკაცრესად დასჯას ითხოვს. ის ამბობს, რომ ვეფხია ბაქრაძეს უვადო პატიმრობა უნდა შეეფარდოს.

მოკლულის მამა ასევე თამარ გამრეკელაშვილის შვილებზეც საუბრობს და ამბობს, რომ ბავშვებს ფსიქოლოგის დახმარება სჭირდებათ.

ის ამ ეტაპზე გამოძიების დასრულებას ელოდება და სათანადო რეაგირების არქონის შემთხვევაში, საპროტესტო აქციებს არ გამორიცხავს.

თამარ გამრეკელაშვილს, გამოძიების ინფორმაციით, დედის მეუღლემ 13 აპრილს ყელი გამოჭრა. ვეფხია ბაქრაძემ მკვლელობა 3 და 6 წლის ბავშვების თანდასწრებით ჩაიდინა.

***

მკვლელობაში ბრალდებულ ვეფხია ბაქრაძეს ბრალი დაუმძიმდა.

შსს-ს ინფორმაციით, ბრალი გადაკვალიფიცირდა 11 პრიმა 109-ე მუხლად, რაც ოჯახში ძალადობის ნიადაგზე ჩადენილ განზრახ მკვლელობას დამამძიმებელ გარემოებაში გულისხმობს. აღნიშნული მუხლი 16-დან 20 წლამდე ან უვადო პატიმრობას ითვალისწინებს.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.

ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

2018, 17 აპრილი, №89

რუსეთი უკრაინაში შეჭრისთვის ემზადება?!

სირიის გარშემო აზვირთებულმა აჟიოტაჟმა უკრაინული პრობლემა თითქოს გადაფარა, თუმცა ეს ცოტა ხანს გაგრძელდა. უკრაინის უშიშროების საბჭოს მდივანმა ტურჩინოვმა განაცხადა, რომ რუსეთი უკრაინაში შეჭრისთვის ემზადება.

– ინტერვენცია 2018 წლის შემოდგომისთვისაა დაგეგმილი, – ამბობს ტურჩინოვი.

უშიშროების საბჭოს მდივნის ცნობით, რუსეთი ინტერვენციისთვის ინტენსიურად ემზადება. სავარაუდოდ რუსები თავდასხმას 2018 წლის შემოდგომაზე განახორციელებენ. უკრაინაზე ლაშქრობაში მონაწილეობას 260.000 რუსი ჯარისკაცი მიიღებს. გამოყენებული იქნება ავიაცია და რაკეტები.

უკრაინის უშიშროების სამსახურის შეფის მოადგილემ კონონენკომ ეს დაადასტურა. მან განაცხადა, რომ თავდასხმის საბაბი ე.წ. რუსულენოვანი მოსახლეობის შევიწროება იქნება.

– თანახმად ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციისა, რუსული სპეცსამსახურები დაქირავებული ხულიგნებისგან (ე.წ. „ტიტუშკები“) დამრტყმელ ჯგუფებს ქმნიან. მათ რუსულენოვანი მოსახლეობის მიტინგებზე ჩხუბი უნდა ატეხონ, შემდეგ კი ცეცხლსასროლი იარაღი გამოიყენონ, – თქვა კონონენკომ.

ამავე დროს დაგეგმილია შეიარაღებული პროვოკაციები დონბასში. სეპარატისტების საიტ „რუსკაია ვესნას“ ცნობით, უკრაინული არმია დაიწყებს შეტევას დონეცკლუგანსკზე, პარალელურად რუსი დივერსანტები სეპარატისტების ლიდერების ზახარჩენკოს, ბასურინის, პასეჩნიკის და სხვათა ლიკვიდაციას განახორციელებენ. ყველაფერი ეს უნდა გახდეს საფუძველი იმისა, რომ რუსეთმა უკრაინაში ჯარი შეიყვანოს.

– თუ ამერიკელებს სირიის რაკეტებით დაბომბვა შეუძლიათ, ჩვენ ჩვენი თანამემამულეები რატომ არ უნდა დავიცვათ? – აცხადებს ჟირინოვსკი.

უკრაინაში ინტერვენციის საფრთხეს მსოფლიო გამოხმაურება მოჰყვა. რუსმა ექსპერტმა ნევზოროვმა განაცხადა, რომ ამ ეტაპზე რუსული აგრესია ნაკლებად მოსალოდნელია. მიზეზი მარტივია. უკრაინაში შეჭრა რუსეთისთვის დამღუპველი აღმოჩნდება. დანაკარგი მინიმუმ 200.000 იქნება, ანუ მთელი არმია, რომელსაც უკრაინაში გადაისვრიან, მიწაში ჩაწვება. ამას დასავლეთის სანქციებიც დაემატება.

– უკრაინაში შეჭრა პუტინისთვის სახურავიდან გადახტომას ნიშნავს. ამიტომ რომცა ინტერვენციის შესაძლებლობაზე ვლაპარაკობთ, საკითხი ასე უნდა დავსვათ: შეიშალა თუ არა პუტინი? – თქვა ნევზოროვმა.

აშშ-ის პრეზიდენტის სპეცწარმომადგენელი დონბასის საკითხებში კურტ ვოლკერიც მიიჩნევს, რომ რუსეთის უკრაინაში შეჭრის საფრთხე მინიმალურია. ვოლკერის აზრით, რუსეთის უკრაინაში შეჭრის ალბათობა 5-10 პროცენტია.

ექსპერტი ვიტალი პორტნიკოვი თვლის, რომ მეორე ცივი ომი ჯერ კიდევ 2014 წელს დაიწყო, როცა რუსეთმა ყირიმის ანექსია განახორციელა. სირიაზე ამერიკელების დარტყმით ცივი ომი გამწვავდა, თუმცა რუსეთი დღეს ის არ არის, რაც სსრკ-ს დროს იყო. აღარც საბჭოთა კავშირი არსებობს, არც ე.წ. სოციალისტურ ბანაკი (ანუ რუსეთის სატელიტების ჯგუფი). მოსკოვს არ ჰყავს ძლიერი მოკავშირე. რუსულ სახელმწიფოს კორუფცია ხრავს, ეკონომიკა იშლება. გამომდინარე აქედან, მეორე ცივ ომში რუსეთის მარცხი გარდაუვალია.

რაც შეეხება დონბასს, ექსპერტის აზრით, 2018 წელს რუსული ინტერვენცია მოსალოდნელი არაა, მაგრამ არც რაიმე პოზიტიურ ცვლილებას უნდა ველოდოთ. უკრაინისთვის სასურველი გარდატეხა, სავარაუდოდ, 2019 წელს დაიწყება. ფინალი დონეცკლუგანსკზე უკრაინული დროშის აღმართვა იქნება.

– თუ როდის მოხდება ეს, ახლა ამისი განსაზღვრა შეუძლებელია, – განაცხადა პორტნიკოვმა.

დონალდ ტრამპი: „მისია შესრულებულია!“

აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა აშშ-ის მიერ სირიის წინააღმდეგ ჩატარებულ სამხედრო ოპერაციას მაღალი შეფასება მისცა. ტრამპმა ხაზი გაუსვა, რომ ამერიკის ძალა მთელმა მსოფლიომ დაინახა. ვლადიმერ პუტინმაც ეს მთელი არსებით შეიგრძნო.

– რუსებმა ისღა მოახერხეს, რომ დაიწყეს მტკიცება, სირიელებმა ამერიკული რაკეტების რაღაც ნაწილი ჩამოაგდესო. როგორც ჩანს, მათ ეს ტყუილი გულზე მალამოსავით ეცხებათ, – თქვა ტრამპმა.

აშშ-ის პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ ამ ეტაპზე ყველა დასახული მიზნის შესრულება მოხერხდა. რუსებსაც და ასადსაც თავში წამოარტყეს. განადგურებულია სირიის მთელი სამხედრო ინფრასტრუქტურა, ქიმიური ქარხნები და ა.შ.

– ასე რომ, მისია შესრულებულია! – ამბობს ტრამპი.

ტრამპის რეიტინგი გაიზარდა. ამერიკელების 87% სირიაზე დარტყმას მიესალმა. ამავე დროს, ტრამპისადმი ნდობა დაეცა მუშებში, ფერმერებში, ანუ მათ შორის, ვინც მას არჩევნებზე მხარი დაუჭირა.

– სირიაზე დარტყმით ტრამპის წინასაარჩევნო პროგრამა დაიმარხა! ახლა აშშ-ის პრეზიდენტმა რუსეთზე თანმიმდევრული ზეწოლა უნდა განაგრძოს და აიძულოს პუტინი, უკან დაიხიოს, – თვლის პოლიტოლოგი ტარანი.

ნიკი ჰეილი: „რუსეთის წინააღმდეგ მალე დამატებით სანქციებს შემოიღებენ!“

აშშ-ის წარმომადგენელმა გაეროში ნიკი ჰეილიმ განაცხადა, რომ ასადის მხარდაჭერა რუსეთს უკვე ძვირი დაუჯდა. ჰეილიმ ხაზი გაუსვა იმას, რომ ეს მხოლოდ დასაწყისია.

– მალე რუსეთის მიმართ დამატებით სანქციებს შემოიღებენ! – თქვა ჰეილიმ.

მან აღნიშნა, რომ ამერიკული არმია უახლოეს ხანებში სირიას არ დატოვებს.

– ჩვენ უნდა თვალი ვადევნოთ ასადს, კონტროლზე გვყავდეს ირანი, რომელიც მთელ ახლო აღმოსავლეთში დესტრუქციულ პოლიტიკას ეწევა, – ამბობს ჰეილი.

შტაინმაიერი რუსეთს იცავს

გერმანიის პრეზიდენტმა ფრანცვალტერ შტაინმაერმა რუსეთის დამცავი განცხადება გააკეთა. ეს სირიაზე აშშ-ის დარტყმის შემდეგ მოხდა:

– მეშინია დასავლეთ-რუსეთის კონფრონტაციის, იმის, რომ რუსეთი ჩვენს მტრად არ შერაცხონ! -– თქვა შტაინმაიერმა.

პრეზიდენტმა აგრეთვე შენიშნა, რომ სირიის კონფლიქტის დარეგულირება მხოლოდ რუსეთ-აშშ-ის ერთობლივი ძალისხმევითაა შესაძლებელი.

დიმიტრი გორდონი: „მესამე მსოფლიო ომი გამორიცხულია!“

სირიაზე ამერიკელების დარტყმის შემდეგ ზოგიერთი მედია საშუალება მესამე მსოფლიო ომის საფრთხეზე ალაპარაკდა. ცნობილი ექსპერტი დიმიტრი გორდონი ამას კატეგორიულად გამორიცხავს.

– ომისთვის ორი დაპირისპირებული ბანაკია აუცილებელი. ეს კი არ არსებობს. არ არის ქვეყანა, რომელსაც აშშ-თან ომი შეუძლია! ეს თვით პუტინსაც ესმის, ამიტომ სირიაზე ამერიკელების დარტყმას არაფრით არ უპასუხა, – ამბობს ექსპერტი.

გორდონის აზრით, სირიაზე დარტყმის შემდეგ რუსეთი პროვოკაციების მოწყობას შეეცდება, დასავლეთი კი მას დამატებით სანქციებს დაუწესებს. საბოლოოდ ამ დაპირისპირებაში რუსეთის მარცხი გარდუვალია. მოსკოვი იძულებული გახდება, დათმოს პოზიციები როგორც სირიაში, ასევე დონბასში, შემდეგ უკვე ყირიმშიც.

– შემოდგომის ბუზი მტკივნეულად იკბინება. რუსეთიც პროვოკაციებს მოაწყობს. სამიზნე, უწინარეს ყოვლისა, უკრაინა და საქართველო გახდებიან, – აცხადებს გორდონი.

ინგლისელები ბრექსიტის წინააღმდეგ

ლონდონში გაიმართა მიტინგი ბრექსიტის წინააღმდეგ. მასში მონაწილეობა 5.000-მდე ადამიანმა მიიღო.

მომიტინგენი ბრექსიტის თაობაზე განმეორებითი რეფერენდუმის ჩატარებას მოითხოვდნენ.

– ახლა, როცა ცივი ომი გამწვავდა, ევროპა კონსოლიდირებული უნდა იყოს, – აცხადებდნენ მომიტინგენი.

სირიაზე დარტყმის შემდეგ ბრიტანეთში ბრექსიტის მოწინააღმდეგენი გააქტიურდნენ. პარლამენტის დეპუტატები, ცნობილი მწერლები, მსახიობები, სპორტსმენები ხელს აწერენ დოკუმენტს განმეორებითი რეფერენდუმის ჩატარების მოთხოვნით.

– დღეს ევროპა უდიდესი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა, ამიტომ ის ერთიანი უნდა იყოს, – ამბობენ ბრექსიტის მოწინააღმდეგენი.

მონტენეგროს პრეზიდენტი აირჩია

მონტენეგროში საპრეზიდენტო არჩევნები დასრულდა. მოქმედმა პრეზიდენტმა მილო ჯუკანოვიჩმა 55,5% დააგროვა და პირველ ადგილზე გავიდა. მეორეზეა ბოიანიჩი (35%).

ორივე კანდიდატი პროევროპულ პოზიციაზე დგას.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

განცხადებები

● შევიძენ ნახატ სურათებს, წიგნებს, ძველ ნივთებს. ტელ: 598-43-98-57.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების თავიდან აცილება, ნერვული სისტემის და ღვიძლის პრობლემების ნორმალიზება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან. უკუჩვენების გარეშე. საუკეთესო შედეგით, ტელ: 599-25-44-14 ექიმი მზია, 218-48-99 (სამსახ.). მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● პოტენციის დაქვეითებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციების ნორმალიზება, პროსტატის ჯირკვლისა და შარდვის პროცესების მოწესრიგება, ბაქტერიულ-სოკოვან ინფექციათა საწინააღმდეგო მოქმედება იმუნიტეტის გაძლიერებით, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან უჯრედულ დონეზე. უკუჩვენების გარეშე. საუკეთესო შედეგით. ტელ: 595-293-299; 218-46-08 (სამსახ.) ექიმი ინგა. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-5 სმ-ის მომატებით ძვლის მკვებავი მინერალებისა და ვიტამინების ნაკრებით+ვარჯიშები. ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც, ასევე გახდომა 5-15 კგ თვეში რაციონის შეუცვლელად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, სწრაფად და ეფექტურად. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (სამსახ). ექიმი სალომე. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● ძვლის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება – კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ართრიტის დროს. დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის ნორმალიზება მცენარეული საშუალებებით, საუკეთესო შედეგით. ტკივილისა და შებოჭილობის სინდრომის შემცირება უკუჩვენების გარეშე. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (სამსახ). ექიმი სალომე. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

გთავაზობთ სამსახურს

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ნანა ქიბროწაშვილი - ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი, ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი,პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრებია და ქმედებები, ეჭვიანობა,ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი,ოჯახური გაუგებრობა. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 225 . ტელ: 599-498-423 ნანა.. მიღება 12-დან 15 სთ-მდე წინასწარი ჩაწერით

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევა-დამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართა პრობლემების: კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზივური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

გოგა ბითაძე: „ნბა-ში თამაში ჩემი ოცნებაა“

ქართველი ტალანტი გოგა ბითაძე ნბა-ს 2018 წლის დრაფტზე რომ დადგება, ამას უკვე ვწერდით. ცხადია, ყველაზე ძლიერი საკალათბურთო ლიგა ყურადღებით აკვირდება მომავალს და გამონაკლისი არც ბითაძეა, რომელსაც უცხოური მედიაც ადევნებს თვალს. ერთ-ერთი მათგანი სერბული მეგა ბიმაქსის 18 წლის კალათბურთელს შეეხმიანა და მცირე ინტერვიუც ჩამოართვა.

სანამ გოგას კომენტარზე გადავიდოდეთ, შეგახსენებთ, რომ ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, ქართველი ცენტრი ადრიატიკის ლიგაში გუნდის ერთ-ერთი ლიდერია და საშუალოდ 23.0 წუთში 11.8 ქულას, 6.9 მოხსნასა და 1.9 დაფარებას აგროვებს, ორქულიანებში მისი მაჩვენებელი 54% გახლავთ, საჯარიმოებში კი – 67%. ამასთან, გოგა უკვე საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრია.

საინტერესოა, რომ ბითაძე ნიკოლა იოკიჩისა და ანტე ჟიჟიჩის შემდეგ, მხოლოდ მე-3 კალათბურთელია, ვინც 18 წლის ასაკში ადრიატიკის ლიგაში საშუალოდ 12 ქულასა და 7 მოხსნას აგროვებს.

გოგა ბითაძე:

– ვფიქრობ, დრაფტზე გასვლა ჩემი კარიერისთვის კარგი იქნება. ცხადია, ნბა-ში თამაში ჩემი ოცნებაა და აღნიშნული ნაბიჯი მასთან კიდევ უფრო მიახლოებაა. ამასთან, კარგი იქნება, თუკი ყველაფერი აუჩქარებლად და ისე გაკეთდება, რომ მაქსიმალური სარგებელი მომიტანოს. მართალი გითხრათ, ვთვლი, რომ გასაუმჯობესებელი კიდევ ბევრი რამ მაქვს. საუბარია სამქულიანებზე და მოხსნებში, როგორც დაცვაში, ასევე – შეტევაში. ცხადია, სასიამოვნოა, როდესაც იოკიჩისა და ჟიჟიჩის სტატისტიკაზე გადიხარ, მაგრამ კვლავაც დიდი სამუშაოა გასაწევი. როგორც ვთქვი, ნბა-ში მოხვედრაზე ვოცნებობ და მჯერა, ჩემი აგენტები ყველაფერს გააკეთებენ, რომ ჩემი კარიერა აღმავალი გზით წარიმართოს. ვთვლი, რომ ნბა-ს გუნდების დაინტერესება ნამდვილად შემიძლია ჩემი ათლეტიზმითა და საქმისადმი დამოკიდებულებით.

გეტყვით იმასაც, რომ რჩეულ 100 ახალგაზრდა კალათბურთელს შორის ბითაძე 65-ე ადგილზეა და დღევანდელი გადასახედიდან დრაფტის მე-2 რაუნდში არჩევას უწინასწარმეტყველებენ. ამასთან, ასაკიდან გამომდინარე, გოგას შეუძლია მომავალი დრაფტიდან კანდიდატურა მოხსნას და მომავალ 3 დრაფტზე დააყენოს.

შენგელიამ და დიქსონმა მოიგეს, მარკოიშვილმა წააგო

თორნიკე შენგელიას ბასკონიამ ესპანეთის ჩემპიონატის მორიგ ტურში ტენერიფეს უმასპინძლა და მეტოქე 6 ქულის სხვაობით – 100:94 დაამარცხა.

ქართველი ფორვარდი თამაშში სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო და ტრადიციულად სარგებლიანი იყო. თოკომ მოედანზე 21 წუთი გაატარა და 14 ქულა, 7 მოხსნა, 2 პასი და 1 ჩაჭრა მიითვალა. შენგელიამ 10-დან 6 ორქულიანი და 5-დან 2 საჯარიმო ჩააგდო, 1 სამქულიანი ააცილა.

ქართველი ლეგიონერის სარგებლიანობის კოეფიციენტი 19-ს გაუტოლდა, რითაც ის მასპინძელთა რიგებში მხოლოდ იანის ტიმას ჩამორჩა – ლატვიელმა კალათბურთელმა 23 წუთში 20 ქულა მოაგროვა.

ბასკონიამ 20 მოგება და 8 მარცხი მოაგროვა და სატურნირო ცხრილში მე-2 ადგილს ინარჩუნებს, ერთიროვნული ლიდერი კი მადრიდის რეალია 25 გამარჯვებით.

ახლა, თოკოს გუნდი ევროლიგაზე გადაერთვება, სადაც უმნიშვნელოვანესი მეოთხედფინალური სერია ელის. ბასკური გუნდი სტამბულის ფენერბაჰჩესთან დაპირისპირების საწყის 2 შეხვედრას თურქეთში ჩაატარებს: 18 და 20 აპრილს.

იტალიის საკალათბურთო ჩემპიონატის მორიგ ტურში მანუჩარ მარკოიშვილის რეჯიო ემილია ვარეზეს ესტუმრა და 73:80 დამარცხდა.

მარკოიშვილმა კი სტუმართაგან ყველაზე მეტი – 34 წუთი ითამაშა და ამ დროში მანუჩარმა 7-დან 2 სამქულიანი და 2-დან 1 საჯარიმო ჩააგდო. მანუმ 7 ქულას 5 მოხსნა და 2 პასი წაამატა.

ვარეზეში გამართულ შეხვედრას თვალი საქართველოს ეროვნული ნაკრების ბერძენმა მთავარმა მწვრთნელმა ილიას ზოროსმაც მიადევნა.

რეჯიო ემილიას 10 მოგება და 15 მარცხი მოუგროვდა და მე-12 ადგილზე იმყოფება, მომდევნო მატჩს კი 23 აპრილს, შინ, ტორინოსთან გამართავს.

თურქულმა ბაჰჩეშეჰირმა, რომლის ღირსებასაც საქართველოს ეროვნული ნაკრების ნატურალიზებული ამერიკელი კალათბურთელი მაიკლ დიქსონი იცავს, ქვეყნის პირველ ლიგაში მე-20 გამარჯვება იზეიმა.

ბაჰჩეშეჰირელები კირმიზის დაუხვდნენ და 88:68 მოიგეს, დიქსონმა კი მოედანზე 23 წუთი გაატარა და 11 ქულა, 2 პასი და 1 ჩაჭრა მოაგროვა. მაიკლმა 4-დან 2 ორქულიანი ჩააგდო, სამქულიანებშიც ასეთი მაჩვენებელი ჰქონდა და 1 საჯარიმოც გამოიყენა.

ბაჰჩეშეჰირი მე-6 ადგილზე რჩება, მომდევნო მატჩი კი 20 აპრილს, სტუმრად, პეტკიმსპორთან ელის.

კაკტუსმა ქუთაისს მოუგო

ქუთაისი-კაკტუსი 77:80
(22:23, 28:18, 16:17, 11:22)

ბათუმი-მგზავრები 75:74
(14:19, 29:14, 20:19, 12:22)

ლიდერი ქუთაისი შინ კაკტუსს დაუხვდა. გამარჯვების შემთხვევაში რეგულარული სეზონის მოგებისკენ დიდ ნაბიჯს გადაგამდა. თუმცა, ზედა ოთხეულში ადგილებისთვის ბრძოლას კაკტუსიც განაგრძობს და მოგება მათაც სჭირდებოდათ. საბოლოოდ, სტუმრებმა იმარჯვეს და სეზონი კიდევ უფრო დაძაბეს.

ქუთაისმა პირველი ადგილი შეინარჩუნა და სადღეისოდ მდევრებს მხოლოდ 1 ქულით უსწრებს – მდევრებმა: რუსთავმა, დინამომ და კაკტუსმა მოიგეს.

მატჩი დაძაბული გამოდგა და მისი ბედი ბოლო წუთებზე გადაწყდა, როცა უფრო ზუსტად კაკტუსელებმა ითამაშეს და საამაყო გამარჯვება მოიპოვეს. ქულა-ქულაში მიმდინარე ბოლო წუთებზე შედეგიანად ითამაშეს დეანდრე პარკსმა და დავით ლომიძემ, რომლის სამქულიანითაც კაკტუსი 80:77 დაწინაურდა და საბოლოოდ ამ ანგარიშითაც გაიმარჯვა. თბილისურ გუნდში კვლავ არ უთამაშიათ ტრავმირებულ ტერიკ ბრიჯმენს და სიჯეი ჯონსონს.

კაკტუსს 23 ქულითა და 5 პასით დეანდრე პარკსმა ულიდერა. 20 ქულა მოაგროვა დავით ლომიძემ. 12 ქულა და 8 მოხსნა დაგროვდა ჯონ მიჩელის ანგარიშზე. ქუთაისში 22 ქულით საუკეთესო იყო ჯონათან ლი. დეჟუან რაითმა შეხვედრა 17 ქულით დაამთავრა.

უფრო დაძაბული მატჩი გაიმართა ბათუმში, სადაც აჭარულმა კლუბმა მინიმალური სხვაობით დაამარცხა მგზავრები და დაასრულა ბუბა ბერიშვილის გუნდის მოგებათა წარმატებული სერია, რომელმაც 6 მატჩამდე გასტანა.

მატჩის დასრულებამდე ორნახევარი წუთით ადრე მასპინძლები 70:63 იგებდნენ და თითქოს მოგებაც განაღდებული ჰქონდათ, მაგრამ თბილისელებმა მოახერხეს და ჩამორჩენა ხომ აღმოფხვრეს, საფინალო სირენამდე 15 წამით ადრე ადრიან ბოუის ზუსტი გარღვევის შემდეგ 74:73 დაწინაურდნენ.

გადამწყვეტი ბერთი უკრაინელმა ლეონიდ სტეპანიშინმა ჩააგდო, რომელმაც დასრულებამდე 9 წამით ადრე ზუსტი სროლით გამარჯვება მოუტანა ბათუმელებს – 75:74. ამით

ბათუმელებს 24 ქულით სპენსერ კოლინსმა ულიდერა. 15 ქულა დააგროვა ლეონიდ სტეპანიშინმა. 12 ქულით დაასრულა შეხვედრა ერიკ ჩილდრესმა. მგზავრებში 34 ქულა და 11 მოხსნით საუკეთესო იყო ადრიან ბოუი. 13 ქულა დაგროვდა ტეილორ სტეფორდის ანგარიშზე.

სატურნირო ცხრილი:

1.ქუთაისი	28	19	92341:213947	
2.დინამო	28	18	102344:2154	46
3.კაკტუსი	28	18	102310:2251	46
4.რუსთავი	28	18	102279:2176	46
5.ბათუმი	29	16	132244:2109	45
6.მგზავრები	28	13	152225:2314	41
7.ოლიმპი	27	13	142096:2081	40
8.დელტა	28	10	182275:2369	38
9.სოხუმი	28	1	272095:2616	29

შედეგები

15 აპრილი

ფეხბურთი

ინგლისი. პრემიერლიგა
ნიუკასლი-არსენალი 2:1
მანჩესტერი-ვესტ ბრომვიჩი 0:1

სატურნირო ცხრილი:

1.სიტი	33	28	3	2	93-25	87
2.მანჩესტერი	33	22	5	6	63-26	71
3.ლივერპული	34	20	10	4	78-35	70
4.ტოტენჰემი	33	20	7	6	65-30	67
5.ჩელსი	33	18	6	9	57-33	60
6.არსენალი	33	16	6	11	62-45	54
7.ბარნლი	33	14	10	9	33-29	52
8.ლესტერი	33	11	10	12	49-47	43
9.ევერტონი	34	11	9	14	39-54	42
10.ნიუკასლი	33	11	8	14	35-42	41
11.ბორნმუთი	34	9	11	14	41-56	38
12.უოტფორდი	34	10	7	17	42-60	37
13.ბრაიტონი	33	8	11	14	31-46	35
14.ჰადერსფილდი	34	9	8	17	27-54	35
15.ვესტ ჰემი	32	8	10	14	40-58	34
16.კრ.პალასი	34	8	10	16	36-54	34
17.სუონსი	33	8	9	16	27-46	33
18.საუთჰემპტონი	33	5	13	15	33-53	28
19.სტოკი	33	6	9	18	30-63	27
20.ვესტ ბრომვიჩი	34	4	12	18	27-52	24

ინგლისი. ჩემპიონლიგა
ვულვზი-ბირმინგემი 2:0

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი
ეიბარი-ალავესი 0:1
ატლეტიკო-ლევანტე 3:0
ხეტაფე-ესპანიოლი 1:0
მალაგა-რეალი 1:2

სატურნირო ცხრილი:

1.ბარსელონა	32	25	7	0	81-17	82
2.ატლეტიკო	32	21	8	3	54-15	71
3.რეალი	32	20	7	5	79-35	67
4.ვალენსია	32	20	5	7	60-33	65
5.ბეტისი	32	16	4	12	53-53	52
6.ვილიარეალი	32	14	6	12	43-39	48
7.სევილია	32	14	5	13	41-52	47
8.ხირონა	32	12	8	12	44-49	44
9.სელტა	32	12	7	13	50-44	43
10.ხეტაფე	32	11	9	12	36-30	42
11.სოსიედადი	32	11	7	14	57-52	40
12.ეიბარი	32	11	7	14	36-46	40
13.ბილბაო	32	9	12	11	35-38	39
14.ლეგანესი	32	11	6	15	27-39	39
15.ალავესი	32	12	2	18	29-45	38
16.ესპანიოლი	32	8	12	12	26-39	36
17.ლევანტე	32	6	13	13	28-48	31
18.დეპორტივო	32	6	8	18	32-65	26
19.ლას პალმასი	32	5	6	21	22-64	21
20.მალაგა	32	4	5	23	20-50	17

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი
ოსასუნა-კორდობა 1:1
ალმერია-ალბასეტე 1:1
ვალიადოლიდი-ხიხონი 0:1
რაიო-სარაგოსა 2:1
სარაგოსას გოლი
გიორგი პაპუნაშვილმა გაიტანა
სევილია ბ-გრანადა 0:0
ოვიედო-ხიმნასტიკი 1:0

გერმანია. ბუნდესლიგა
შალკე-დორტმუნდი 2:0
ვერდერი-ლაიპციგი 1:1

სატურნირო ცხრილი:

1.ბაიერნი	30	24	3	3	81-22	75
2.შალკე	30	16	7	7	47-33	55
3.ლევერკუზენი	30	14	9	7	55-37	51
4.დორტმუნდი	30	14	9	7	57-41	51
5.ლაიპციგი	30	13	8	9	45-42	47
6.ჰოფენჰაიმი	30	12	10	8	55-42	46
7.აინტრახტი	30	13	7	10	41-37	46
8.გლადბახი	30	11	7	12	39-48	40
9.ჰერტა	30	9	12	9	35-35	39
10.შტუტგარტი	30	11	6	13	27-35	39
11.აუგსბურგი	30	9	10	11	38-40	37
12.ვერდერი	30	9	10	11	34-36	37
13.ჰანოვერი	30	9	9	12	38-44	36
14.ვოლფსბურგი	30	5	15	10	30-37	30
15.ფრაიბურგი	29	6	12	11	26-48	30
16.მაინცი	29	6	9	14	30-47	27
17.ჰამბურგი	30	5	7	18	23-48	22
18.კიოლნი	30	5	6	19	29-58	21

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა
დარმშტადი-ბრაუნშვაიგი 1:1
ინგოლშტადი-ნიურნბერგი 1:1
ჰაიდენჰაიმი-ფორტუნა 3:1

იტალია. სერია ა
ფიორენტინა-სპალი 0:0
სასუოლო-ბენევენტო 2:2
ბოლონია-ვერონა 2:0
მილანი-ნაპოლი 0:0
იუვენტუსი-სამპდორია 3:0
ლაციო-რომა 0:0

სატურნირო ცხრილი:

1.იუვენტუსი	32	27	3	2	77-18	84
2.ნაპოლი	32	24	6	2	66-21	78
3.ლაციო	32	18	7	7	75-40	61
4.რომა	32	18	7	7	50-26	61
5.ინტერი	32	16	12	4	50-22	60
6.მილანი	32	15	8	9	43-36	53
7.ფიორენტინა	32	14	9	9	44-33	51
8.ატალანტა	32	13	10	9	47-34	49
9.სამპდორია	32	14	6	12	50-49	48
10.ტორინო	32	11	13	8	46-38	46
11.ბოლონია	32	11	5	16	37-43	38
12.ჯენოა	32	10	8	14	25-31	38
13.უდინეზე	32	10	3	19	40-50	33
14.კალიარი	32	9	5	18	30-52	32
15.სასუოლო	32	7	10	15	23-53	31
16.კიევო	32	7	9	16	29-51	30
17.სპალი	32	5	13	14	30-52	28
18.კროტონე	32	7	6	19	29-57	27
19.ვერონა	32	7	4	21	26-64	25
20.ბენევენტო	32	4	2	26	28-75	14

საფრანგეთი. 1 ლიგა
მონპელიე-ბორდო 1:3
ტრუა-მარსელი 2:3
პსჟ-მონაკო 7:1

სატურნირო ცხრილი:

1.პსჟ	33	28	3	2	103-23	87
2.მონაკო	33	21	7	5	78-41	70
3.ლიონი	33	19	9	5	72-36	66
4.მარსელი	33	19	9	5	67-40	66
5.რენი	33	13	8	12	42-40	47
6.ნიცა	33	13	8	12	44-45	47
7.მონპელიე	33	10	16	7	32-29	46
8.სტ.ეტიენი	33	12	10	11	38-45	46
9.ნანტი	33	12	9	12	32-36	45
10.ბორდო	33	12	7	14	39-43	43
11.გენგამი	33	11	9	13	38-48	42
12.დიჟონი	33	11	9	13	46-61	42
13.ანჟე	33	8	13	12	38-44	37
14.ამიენი	33	10	7	16	29-37	37
15.კაენი	32	10	5	17	23-42	35
16.სტრასბური	33	8	10	15	38-58	34
17.ტულუზა	32	7	9	16	29-44	30
18.ლილი	33	7	8	18	32-53	29
19.ტრუა	33	8	5	20	27-49	29
20.მეცი	33	6	7	20	31-64	25

ჰოლანდია. ეროვნული დივიზიონი
ბრედა-ტილბურგი 1:2
გრონინგენი-როდა 2:1
ფეინოორდი-უტრეხტი 3:1
აიაქსი-ალკმარი 3:0

ჰორტუგალია. პრიმეირა ლიგა
მარიტიმუ-მორეირენშე 1:1
ბენფიკა-პორტუ 0:1
ბელენენსეში-სპორტინგი 3:4

ხესეთი. პრემიერლიგა
ურალი-სპარტაკი 2:1
უფა-ცსკა 1:1
როსტოვი-ხაბაროვსკი 2:0

შვეიცარია. სუპერლიგა
ბაზელი-ლოზანა 2:1
ლუცერნი-სიონი 0:1
იანგ ბოიზი-ციურიხი 1:0

მოლდავეთი. თასი
სელტიკი-რეინჯერსი 4:0

ავსტრია. ბუნდესლიგა
აუსტრია-რაპიდი 0:4
რაპიდის მეოთხე გოლი
გიორგი ქვილითაიამ გაიტანა
ადმირა-ზალცბურგი 2:6

ბელგია. ა დივიზიონი
ანდერლეხტი-ბრიუგე 1:0
ანტვერპენი-ბეერსხოტი 2:0
ოსტენდე-სტ.ტრუიდენი 2:2

საბერძნეთი. სუპერლიგა
ლარისა-პანეთოლიკოსი 4:2
ქსანთი-იანინა 3:0
პანათინაიკოსი-ატრომიტოსი 1:0

თურქეთი. სუპერლიგა
ქაისერი-გენჩლერი 3:2
ანთალია-ქონია 0:0
გიოზთეფე-ბურსა 2:1
გალათასარაი-ბაშაქშეჰირი 2:0
პლატანიასი-აეკი 0:1

ჩეხეთი. 1 ლიგა
პლზენი-სპარტა 1:1

პოლონეთი. ექსტრაკლასა
პოგონი-ნეცეჩა 2:0
სლასკი-სანდეცია 1:0

უკრაინა. პრემიერლიგა
ზორის-ვორსკლა 0:3
ოლიმპიკი-ოლექსანდრია 0:0
ზვეზდა-ჩერნომორეცი 2:1
სტალი-კარპატი 0:1

დანია. სუპერლიგა
ოლბორგი-ჰორსენსი 2:0
ბრონდბიუ-კოპენჰაგენი 2:1
ნორდსიელანდი-მიდტიულანდი 1:2
ოდენსე-რანდერსი 3:0

შვედეთი. ალსვენსკა
აიკი-დიურგარდენი 2:0
ნორჩიოპინგი-კალმარი 3:1
ესტერსუნდი-გიოტებორგი 2:1

ნორვეგია. ელიტსერია
მიოლდე-ლილესტრიომი 2:1
რანჰეიმი-ჰაუგესუნდი 4:2
სანდერფიორდი-კრისტიანსუნდი 3:3
სტაბეკი-ტრომსო 1:1
სტრომგოდსეტი-ოდგრელანდი 3:0
სარპსბორგი-ბრანი 1:2

ფინეთი. ვეიკაუსლიგა
ილვესი-კუუპიო 2:1
კემი-ინტერი 2:4
ტპს-სეინეიოკი 0:2
ჰონკა-ლახტი 0:0

საბურთალომ დინამო არენაზე ზედიზედ მეორედ იმარჯვა

დინამო-საბურთალო 0:1

თბილისი. დინამო არენა
0:1 გორგიაშვილი (61)

დინამო: ბულისკერია, რუხაია, თოთაძე, კობოური, ხარაბაძე, ივანისენია (ერგემლიძე 84), ნინუა, შულაია, კიტეიშვილი, ივანიშვილი (ძალამიძე 73), ზივზივაძე (ბაბუნაძე 60)

საბურთალო: კუპატაძე, ლაკვეხელიანი (ნადარაია 67), რეხვიაშვილი, მარგველაშვილი, იაშვილი, მამუჩაშვილი, გორგიაშვილი, ტატანაშვილი (კოხრეიძე 55), დიასამიძე (ტერა 59), ვოლკოვი, გონსალვეში

დედაქალაქურ დერბიში დინამომ საბურთალოს უმასპინძლა 0:1 დამარცხდა. მატჩის ბედი შეხვედრის 61-ე წუთზე გადაწყდა, როდესაც თორნიკე გორგიაშვილმა გაიტანა. გოლი კი ლამაზი გამოდგა – საბურთალოელს საჯარიმოში მიუვიდა ბურთი, მანაც მარცხენა ფეხით დაარტყა, ბურთი ძელს მოხვდა და ისე გაეხვა ბადეში.

ეს გამარჯვება დინამო არენაზე ზედიზედ მეორე გამოდგა საბურთალოსთვის. გასული წლის სექტემბერში გიორგი ჭიაბრიშვილის შეგირდებმა დინამოელები 4:1 დაამარცხეს.

რაც შეეხება კონკრეტულ თამაშს, მასპინძლების უპირატესობით წარიმართა, თუმცა გოლის გატანის რამდენიმე შესაძლებლობა საბურთალოსაც ჰქონდა. ასევე უნდა აღინიშნოს საბურთალოელთა მეკარის ლაზარე კუპატაძის ბრწყინვალე თამაში, რომელმაც რამდენიმე რთულად ასაღები ბურთი მოიგერია და ღომის წილი დაიდო თავისიანების გამარჯვებაში.

იმის გარდა, რომ დინამოელები ფლობდნენ უპირატესობას, საბურთალომ ბოლო 20 წუთი კაცნაკლულმა ჩაატარა – დავით ვოლკოვმა კოჭი გადაიბრუნა და თამაშის გაგრძელება ვეღარ შეძლო. ამ დროისთვის, გიორგი ჭიაბრიშვილს სამივე ცვლილება გამოყენებული ჰქონდა და მისმა გუნდმა 10 კაცით განაგრძო თამაში.

მატჩი პირველივე წუთებიდან დინამოელთა შეტევებით დაიწყო. რამდენჯერმე თამაში აკაკი შულაიამ, გიორგი ივანიშვილმა და ოთარ კიტეიშვილმა გაამწვავეს, მაგრამ უშედეგოდ. მე-17 წუთზე სტუმრებს რეალური საგოლე მომენტი ჰქონდათ: ნოდარ იაშვილის ჩაწოდებულ ბურთს დიმიტრი ტატანაშვილი დახვდა, რომელმაც ახლო მანძილიდან არაზუსტად დაარტყა. საპასუხოდ აკაკი შულაია ამწვავებდა თამაშს მეტოქის საჯარიმოში, ბოლო მომენტში კი დარტყმა არ გამოუვიდა. 25-ე წუთზე ლაზარე კუპატაძემ იხსნა თავისი კარი აკაკი შულაიას უძლიერესი დარტყმულის შემდეგ. ტაიმის ბოლოს კუპატაძემ კიდევ ერთხელ გადაარჩინა საბურთალოს კარი. ამჯერად დავით კობოურის თავით დარტყმული მოიგერია.

მეორე ტაიმი ისევ მასპინძელთა შეტევებით განახლდა და ბუდუ ზივზივაძეს მართებდა ანგარიშის გახსნა, თუმცა მეკარესთან პირისპირ გასულმა არაზუსტად დაარტყა. დინამომ უმატა შეტევებს, სამაგიეროდ კი გოლი საკუთარ კარში მიიღო, რომელზეც უკვე გითხარით.

დარჩენილ დროში საბურთალოს მეკარემ კიდევ ერთხელ იხსნა კარი – თამაზ ბაბუნაძეს ახლო მანძილიდან დარტყმული აუღო. 86 -ე წუთზე ლევან ხარაბაძის ჩაწოდებულს მიხეილ ერგემლიძე თავური დარტყმით ასრულებდა, მაგრამ ბურთი ასცდა სტუმართა კარს.

საბოლოოდ დინამოს შეტევებს შედეგი არ მოჰყვა და მატჩი 0:1 დასრულდა.

სამტრედია-დილა 0:0

ლანჩხუთი. ევგრაფი შევარდნაძე

სამტრედია: მიგინეიშვილი, ჩაჩუა, ბაჩიაშვილი, ქარქუზაშვილი, ფატიჩი, დაუშვილი, მესიაჩენკო (კერძევაძე 70), ერისთავი (ახალაძე 53), გი, კირკიტაძე, გიორბელიძე (ვეილი 77)

დილა: ბეგაშვილი, მაჩაიძე, ჩადუნელი, კვახაძე, სუხიაშვილი, ფორტესი, ნოდარ ქავთარაძე (რაჟამაშვილი 80), რაზმაძე, ლემპტი (ნონდი 39), ლეანდრო, კოვტალიუკი (ფანცულაია 72)

სამტრედია აქამდე საშინაო შეხვედრებს თბილისში თამაშობდა, მაგრამ მოულოდნელად დისლოკაციის ადგილი შეიცვალა და გორელებს ლანჩხუთში უმასპინძლა. უნდა ითქვას, რომ ვერ იყო მაინცდამაინც ბრძნული გადაწყვეტილება, რადგან ევგრაფი შევარდნაძის სახელობის სტადიონი ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის მატჩებისთვის სამასპინძლოდ მზად არ არის. ვერ გეტყვით, ვინ მიიღო ეს გადაწყვეტილება, მაგრამ მინუსი ეკუთვნის და თანაც – დიდი.

0:0 კი ის ციფრებია, რაც ასეთ სტადიონს ეკუთვნის. ბურთი არ გორავდა, პასი არ კეთდებოდა, გატანა შეუძლებელი იყო.

პირველ ტაიმში მხოლოდ თითო კარგი შეტევა ჰქონდათ გუნდებს: კერ გიორგი ერისთავი ინდივიდუალურად საჯარიმოში შევიდა და პასის ნაცვლად დაარტყა, რაც არ გამოუვიდა. სტუმართაგან კი ლეანდრო რიბეიროს კონტრშეტევას მოჰყვა მომენტი და ომარ მიგინეიშვილმა გადაარჩინა გუნდი.

მეორე ნახევარში კი ერთი შედარებით გააზრებული შეტევა ვნახეთ, ისიც ბოლოს, როცა მარცხნიდან ჩაწოდებული ბურთი დავით კირკიტაძემ ახლოდან უმისამართოდ დაარტყა.

სატურნირო ცხრილი:

1.საბურთალო	6	5	0	1	13-4	15
2.დინამო	6	4	0	2	12-6	12
3.ჩიხურა	6	3	2	1	11-5	11
4.დილა	6	3	2	1	10-7	11
5.ტორპედო	6	3	0	3	8-6	9
6.რუსთავი	6	3	0	3	6-5	9
7.სიონი	6	2	1	3	6-9	7
8.სამტრედია	6	1	1	4	3-8	4
9.ლოკომოტივი	6	1	1	4	6-14	4
10.კოლხეთი	6	1	1	4	4-15	4

მოამზადა მისეილ ყორყოლიანმა

ლატარიაში მოგებული ავტომობილი 50 წლით მიწაში ჩამარხეს

მექსიკის ჩიუაუას შტატის ქალაქ ოხინაგაში 50 წლით ჩამარხეს მიწაში ახალი მანქანა, რომელიც ერთ-ერთმა მცხოვრებმა ლატარიაში მოიგო.

ავტომობილის გათამაშება ადგილობრივი ფესტივალის ორგანიზატორებმა გამართეს. მათი ჩანაფიქრით, პრიზი ქალაქის მთავარ მოედანზე შთამომავლებისთვის ერთგვარი გზავნილის სახით იქნებოდა მიწაში ჩაფლული. მას ამოთხრიან და გამარჯვებულის შთამომავლებს მხოლოდ ნახევარი საუკუნის გასვლის შემდეგ გადასცემენ.

ამ იდეას მოქალაქეთა შორის, რომლებსაც ნახმარი მანქანის ყიდვის საშუალებაც კი არ აქვთ, დიდი ენთუზიაზმი არ გამოუწვევია. ისინი მოითხოვდნენ მანქანის არა მიწაში ჩამარხვას, არამედ იმისთვის გადაცემას, ვისაც ის სჭირდებოდა. საპასუხოდ ხელისუფლებამ განაცხადა, რომ მათ არანაირი კავშირი არ აქვთ ამ წამოწყებასთან და ვერც ვერაფერს იღონებენ.

ლატარია თავდაპირველი გეგმის მიხედვით წარიმართა. მანქანა აავსეს ფოტოსურათებით, ხელნაწერი გზავნილებითა და 2018 წლის სხვადასხვა ნივთით, რომლებიც მომავალში შესაძლოა ინტერესის საგანს წარმოადგენდეს. შემდეგ ამწეს დახმარებით რკინაბეტონის ორმოში ჩაუშვეს და ზევიდანაც რკინაბეტონის კედელი დაახურეს.

ბრიტანელმა ძვირადღირებული ბილეთის ნაცვლად მანქანა იყიდა

დიდი ბრიტანეთის მცხოვრებმა მანქანა სამგზავროდ იმის გამო იყიდა, რომ მატარებლის ბილეთი საკმაოდ ეძვირა და ამით ეკონომია გააკეთა.

ტომ ჩერჩმა, რომელიც ქალაქ ბრისტოლში ცხოვრობს, მოისურვა, თავისი ლონდონელი მეგობარი მოენახულებინა, თუმცა იმისთვის, რომ 160 კილომეტრი მატარებლით ემგზავრა, 218 ფუნტი სტერლინგი უნდა გადაეხადა და ისიც მხოლოდ ერთი მიმართულებით.

მამაკაცმა ჩათვალა, რომ ეს მეტისმეტად ძვირი იყო და 1997 წლის გამოშვების კარგ მდგომარეობაში მყოფი ნახმარი ავტომობილის ჰონდა სივიკის თაობაზე განცხადება ნახა. მან სწორედ ეს ავტომობილი შეარჩია ძრავის ნაკლები მოცულობის გამო, რამაც მას მინიმალური სატრანსპორტო გადასახადის გადახდის საშუალება მისცა.

ჩერჩმა ავტომობილი 206 ფუნტად შეიძინა დაზღვევასთან ერთად.

– მატარებლის ერთ ბილეთზე იაფი გამომივიდა და ამ ფასად მანქანაც დამრჩა, – განაცხადა ბრიტანელმა და იქვე აღნიშნა, რომ ეს იმისთვის გააკეთა, რომ საზოგადოების ყურადღება მიაპყროს მეტისმეტად მაღალ მატარებლის ბილეთების ფასს.

მან ასევე დაამატა, რომ ლონდონში გამგზავრების შემდეგ მანქანის გაყიდვასა და მასში 200 ფუნტის აღებას აპირებს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

17 აპრილისთვის



ვერძი – ძალზე კეთილისმყოფელი დღეა კომერციული ოპერაციებისათვის. ახალი წამოწყება გაამართლებს. **კურო** – კარგი იქნება, თუ ცოტა ხნით მაინც განმარტოვდებით და დაისვენებთ. აქტიური მოქმედება იმ შემთხვევაში გაამართლებს, თუ ყველა ნაბიჯს წინასწარ გააანალიზებთ. **ტყუპები** – გუნება-განწყობა სწრაფად და უმიზეზოდ გეცვლებათ. კონფლიქტურ სიტუაციებს მაქსიმალურად გაერიდეთ. **კირჩხიბი** – დასამახსოვრებელი დღეა. ვარსკვლავები თქვენ მიმართ კეთილგანწყობას ამჟღავნებენ. **ლომი** – იზრდება სასიცოცხლო პოტენციალი და პიროვნული მომხიბვლელობა. ყველაზე რთული ამოცანის შესრულებაც კი არ გიჭირთ. **ქალწული** – სამსახურში სირთულეებია მოსალოდნელი. დაიხმარეთ კოლეგები. **სასწორი** – წარმატების მიღწევისთვის საკმაო ძალისხმევა დაგჭირდებათ. გაღიზიანებული და დაბნეული ხართ. **ღრიანკალი** – მშვიდად იყავით. მაინცდამაინც ნუ იაქტიურებთ. დაკმაყოფილდით იმით, რაც გაქვთ. **მშვილდოსანი** – ნებისმიერი საქმის შესრულება დიდ დროსა და ენერგიას გართმევთ. გარშემომყოფებთან ურთიერთობისას სიმშვიდე გმართებთ. **თხის რქა** – გამოიჩინეთ ნებისყოფის სიმტკიცე. ნაუცბათევ გადაწყვეტილებას ნუ მიიღებთ. **მერწყული** – თქვენს ჩანაფიქრს ნურავის გაანდობთ. მიღებული ინფორმაცია სათანადოდ გადაამოწმეთ. **თევზები** – არასაიმედო ადამიანებთან კონტაქტი მინიმუმამდე დაიყვანეთ. იოლ გზებს ნუ ეძებთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. თაღლითი ბანქოს თამაშში; 2. ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობა; 3. სუბტროპიკული, ეთერზეთოვანი მცენარე; 4. ლომების ჯოგი; 6. პროფესორ-მასწავლებელთა გაერთიანება უმაღლეს სასწავლებელში; 9. თუშეთში პირი, რომელიც დღესასწაულებზე ლუდით უმასპინძლდება თანასოფლელებს, სტუმრებს; 11. ფიჭური კავშირგაბმულობის კომპანია საქართველოში; 15. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი მამაკაცი; 16. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი ვანის რაიონში; 17. გულიანი კანფეტი; 19. ჭკუასუსტობის უმაღლესი ხარისხი; 21. ნიუ იორკის ერთ-ერთი რაიონი; 22. ნარკოტიკული ნივთიერება.

თარაზულად: 5. რაიმეს არასრულფასოვანი შემცვლელი; 7. დედამიწის ჩრდილო პოლარული ზონა; 8. ძვირფასი ნივთები, განძეულობა, ფასეულობა; 10. ქართველი მწერალი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი; 12. სატანვარჯიშო იარაღი; 13. ხორცის მწარმოებელი ქართული ფირმა; 14. პარფიუმერიული ფირმა „ლორეალის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი, მფლობელი; 18. კათოლიკე მღვდელი; 20. ქერისა და შვრიისგან დამზადებული უალკოჰოლო-გამაგრილებელი სასმელი; 23. ლატვიელი კომპოზიტორი; 24. აეროპორტი პარიზში; 25. აჭარული ცეკვა; 26. ქართული ფოლკლორული ანსამბლი; 27. იტალიური რესტორანი.

შეადგინა თ.კობალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 5. კალმახი; 6. კაქტუსი; 8. ხელი; 9. პოსტი; 10. აპრილი; 11. კატა; 13. კაშალოტი; 14. ლორი; 16. კალია; 18. მატლი; 20. მამლუქი; 21. ტანკეტი.

შვეულად: 1. ამბარი; 2. ახმახი; 3. ეტალონი; 4. ვიტრინა; 5. კალმარი; 7. პალიტრა; 11. კარტი; 12. ვილისი; 13. კარტელი; 14. ლითიუმი; 15. პირატი; 17. ალსეკო; 19. პელე.

სკანვორდის პასუხები:

1. რაფია; 2. კი; 3. პარაბოლოიდი; 4. პარტიტა; 5. შკოდა; 6. ტრიგონომეტრია; 7. იორი; 8. ხაბარდა; 9. რაიკინი; 10. ირტიში; 11. ბუხარა; 12. მანეკენი; 13. ნამყო; 14. გემო; 15. ოდა; 16. ნარდი; 17. ამარეტო; 18. ამაო; 19. როკ; 20. ემე; 21. ინა; 22. ან; 23. ჰუნე; 24. ნარიყალა; 25. კარნეგი; 26. აკა; 27. ტანინი; 28. იაკინთე; 29. ერა; 30. მერინოსი; 31. ესენტუკი; 32. აისბერგი

სურათებზე: ანეტ ბენინგი; რობინიო.

მარიამ ვაშაძე გათხოვდა

ჟურნალისტი მარიამ ვაშაძე გათხოვდა. საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალისტის რჩეული ვანო ბენიძეა.

მარიამის გაბედნიერება მისმა მეგობრებმა, ოჯახის წევრებმა და უახლოესმა ადამიანებმა გაიზიარეს. ქორწილს ბევრი ცნობილი სახე ესწრებოდა, მათ შორის იყვნენ მსახიობები, მომღერლები, ტელეწამყვანები, ჟურნალისტები...

ფოტოები მარიამის და ვანოს ქორწილიდან ტელეწამყვანის ნანუკა ჟორჟოლიანის შვილმა მარიამ გეგუჩაძემ გაავრცელა და საუკეთესო მეგობრებს ბედნიერება უსურვა.

მიხეილ ზაქარიაშვილი მარინა ბერიძის ჟიურის წევრობიდან გადაყენებას ითხოვს

არაერთი ცნობილი სიმღერის ავტორ-შემსრულებელი მიხეილ ზაქარიაშვილი მუსიკალური პროექტის „მხოლოდ ქართული“ ჟიურის ერთ-ერთი წევრის მარინა ბერიძის ჟიურის წევრობიდან გადაყენებას ითხოვს:

– მოვითხოვ მარინას გადაყენებას ჟიურის წევრობიდან და ქალბატონი შუშანას დანიშვნას კონკურსში „მხოლოდ ქართული“. ბრავო შუშანაااა, ბრავოოოოო. შეადარეთ მარინას ნამღერს და მიხვდებით, რომ მართალი ვარ....

ქეთი ორჯონიკიძე ტელეწამყვანი გახდა

მომღერალი ქეთი ორჯონიკიძე ტელეწამყვანი გახდა. ის გადაცემას „დილა მშვიდობისა საქართველო უქმეებზე“ სხვა წამყვანებთან ერთად უძღვება. გადაცემა ეთერშია ყოველ შაბათ-კვირას რუსთავი 2-ის პირდაპირ ეთერში და დილის 8 საათიდან მაყურებლისთვის სხვადასხვა სიუჟეტებს ამზადებს.

ახალ გამოწვევას ხელოვანი დადებითად შეხვდა და სულაც არ უთქვამს რუსთავი 2-ის წარმომადგენლებისთვის შეთავაზებაზე უარი.

მომღერალს არც უქმეებზე დილით ადგომა ეზარება და თანაწამყვანებთან ერთად ბევრ საინტერესო თემას მიმოიხილავს.

პირველივე გადაცემაში ქეთიმ მუსიკალურ ბლოკში პრინცის სიმღერა „ფარფლ რეინ“ (იისფერი წვიმა) შეასრულა.

ფოთის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი დუმილს არღვევს

ვალერიან გუნიას სახელობის ფოთის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი დავით მღებრიშვილი დუმილს არღვევს და თეატრთან დაკავშირებულ პრობლემებზე საუბრობს.

დავით მღებრიშვილი, *რეჟისორი:*

– მოვიდა დრო, როდესაც ყველაფერს თავისი სახელი უნდა დავარქვათ!

ტაძრის შენობის ცნობილი დატოვების მომენტიდან, ფოთის თეატრი ელოდებოდა ახალ შენობას. 2005 წელს ჩაეყარა საფუძველი ახალი შენობის მშენებლობას. 2014 წელს, როგორც იქნა, შენობა „დასრულდა“ და თეატრმა დაიწყო ნორმალური ფუნქციონირება. თეატრმა მიაღწია გარკვეულ წარმატებას. გავხდით რამდენიმე, როგორც ქართული პრესტიჟული თეატრალური პრემიების, ასევე ევროპული პრემიის ლაურეატები. კრიტიკოსები აღნიშნავენ, რომ ფოთის თეატრი ქართული თეატრალური ცხოვრების კონტექსტში ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და თანამედროვე თეატრია. უკვე გვიცნობენ საქართველოს ფარგლებს გარეთაც. წარმატებით გაგვაქვს ქართული თეატრალური კულტურა საზღვარგარეთ სხვადასხვა თეატრალურ ფორუმებზე. ვაფინანსებთ სტუდენტების სწავლას ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტში, რათა ფოთის თეატრის დასი მომავალში ადგილობრივი პროფესიონალური კადრებით იყოს დაკომპლექტებული. წელს ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის ფოთის სამსახიობო მიზნობრივი ჯგუფი სწავლას ამთავრებს და შემოდგომიდან შეუერთდება თეატრის დასს. ვატარებთ საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალს, რომელიც როგორც მთლიანად ქართული თეატრალური ცხოვრების, ასევე ქალაქ ფოთის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კულტურული მოვლენა გახდა. სამწუხაროდ, ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი სავარაუდოდ წყალშია ჩაყრილი, რადგანაც თეატრი ვერ ფუნქციონირებს შენობის ავარიული მდგომარეობის გამო!

დღეს თეატრის შენობის მდგომარეობა ასეთია: შენობა, რომელსაც მშენებლების მხრიდან ჯერ საგარანტიო ვადაც არ გასვლია, დანგრევის პირასაა. ვარდება ჭერი, ცვივა თეატრის მოსაპირკეთებელი მასალები, ნესტიანდება თითქმის ყველა კედელი და განსაკუთრებით პირველი სართული, რომელიც უმძიმეს მდგომარეობაშია, თეატრში გვაწვიმს როგორც გარეთ, გათბობის სისტემა გამართულად არ მუშაობს, გაუმართავია ელექტროგენერატორიც, აღმოჩნდა, რომ რამდენიმე ადგილას უნიტაზები საკანალიზაციო სისტემასთან არ იყო მიერთებული და საკანალიზაციო წყლები პირდაპირ კედლებში ჩაედინებოდა, სველი წერტილები საშინლად არის გაკეთებული, ქარი თეატრის შენობაში ქრის როგორც გარეთ, სცენის მექანიზმების ნაწილი მეორადი დეტალებით იყო დამონტაჟებული, ჩამოწყდა სატვირთო ლიფტი, რომელიც სავარაუდოდ ასევე მეორადი დეტალებით იყო გაკეთებული. ლიფტის ჩამოვარდნის შედეგად ჩვენი თანამშრომელი დღეს ინვალიდის ეტლს არის მიჯაჭვული. თეატრის დასს დღეს არ აქვს საშუალება, სრულყოფილად იმუშაოს და მოემსახუროს თავის მაყურებელს. თეატრის შენობაში ვერც საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი ჩატარდება. ვერ ვთამაშობთ სპექტაკლებს, ვერ ვატარებთ რეპეტიციებს.

მშენებელი კომპანია, რომლის ვალდებულება იყო და დღესაც არის თავისი ხარჯით გამოასწოროს ყველა ხარვეზი, პასუხისმგებლობას თავს არიდებს. სამშენებლო კომპანიის ხელმძღვანელმა ინტერვიუში განაცხადა, რომ თურმე ფოთის შენობის პრობლემების თავი და თავი ფოთის თეატრის ხელმძღვანელობაა, რომელიც თურმე ვენტილაციას არ ამუშავებს და შენობა სწორედ ამიტომ ინგრევა! კომპანიამ თავი გაკოტრებულად გამოაცხადა, თუმცა ამის რაიმე საბუთი ჩვენამდე არ მოსულა.

პრობლემებმა თეატრის შენობის გახსნისთანავე იჩინა თავი და თეატრმა ამის შესახებ არაერთი წერილი მიწერა ფოთის მერიას, თუმცა უშედეგოდ. 2018 წლამდე ჩვენს წერილებზე რეაგირება არ ხდებოდა. წელს, როგორც იქნა, კულტურის სამინისტროს აქტიური მხარდაჭერითა და ჩარევით შენობის რეაბილიტაციის საქმე ნელა, მაგრამ დაიძრა მკვდარი წერტილიდან. ფოთის საკრებულომ გამონახა თანხა 30 000 ლარი. უნდა ჩატარდეს ტენდერი შენობის სამშენებლო-საინჟინრო ექსპერტიზაზე და სამუშაოების პროექტზე. შემდეგ კი უნდა გამოინახოს ფული შენობის კაპიტალურ რეაბილიტაციაზე.

მაქვს შეკითხვა, ვინ არის პასუხისმგებელი შენობის ასეთ მდგომარეობაზე, რომლის ასაშენებლად 11 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯა?

შენობის მომავალი რეაბილიტაციის პროცესში და მისი დასრულების შემდეგ, იგივე შედეგი რომ არ მივიღოთ, მიზანშეწონილად მიმაჩნია, რომ შესაბამისი სტრუქტურები უნდა დაინტერესდნენ და ჩაატარონ საფუძვლიანი და დეტალური გამოძიება შენობის დაპროექტებიდან, მშენებლობის მსვლელობისა და მშენებლობის დასრულების, მიღება-ჩაბარებით დამთავრებული. რათა დადგინდეს, თუ რატომ გახდა შესაძლებელი, რომ ახალი შენობა დღეს ასეთ მდგომარეობაშია, მაშინ, როცა მშენებლობის დასრულებიდან მხოლოდ 4 წელიწადია გასული?

შესაბამისი განცხადებით მივმართავ საქართველოს პროკურატურას.

რობერტ სტურუა თეატრალურ ხელოვნებაში განსაკუთრებული წვლილის შეტანისთვის დაჯილდოვეს

80 წლის რეჟისორი რობერტ სტურუა საერთაშორისო ფესტივალმა „აღდგომიდან ამაღლებამდე“ დააჯილდოვა.

ჯილდო რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს თეატრალურ ხელოვნებაში განსაკუთრებული წვლილის შეტანისთვის გადაეცა. დაჯილდოებამდე რეჟისორმა ფესტივალის ფარგლებში შეკრებილ მაყურებელს მის მიერ დადგმული სპექტაკლი „მარია კალასი. გაკვეთილი“ შესთავაზა. საერთაშორისო ფესტივალმა „აღდგომიდან ამაღლებამდე“ ეს ჯილდო პირველად შარშან საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსს, ბიჭვინთისა და ცხუმ აფხაზეთის მიტროპოლიტს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია მეორეს მიანიჭა, წელს კი ჯილდოს მფლობელი რობერტ სტურუა გახდა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ასეულობით უზარმაზარმა ზვიგენმა აშშ-ის სანაპიროსთან მოიყარა თავი

უზარმაზარმა ზვიგენებმა ჯგუფებად დაიწყეს თავმოყრა აშშ-ის სანაპიროსთან და მათი რაოდენობა ასს აღემატება. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი სამეცნიერო ჟურნალი აქვეყნებს.

ამ სახეობის წარმომადგენლების დიდი რაოდენობით თავმოყრა შენიშნეს თვითმფრინავიდან, როდესაც ატლანტის ოკეანის ჩრდილოეთ ნაწილში იშვიათი სამხრეთული ვეშაპების საძიებოდ ხორციელდებოდა ფრენა. 1980-დან 2013 წლამდე უზარმაზარი ზვიგენების გუნდები 10-ჯერ იქნა აღმოჩენილი აშშ-ის აღმოსავლეთ სანაპიროს ჩრდილოეთ ნაწილში, ახალი შოტლანდიიდან ლონგ-აილენდამდე.

რეკორდული ზომის ზვიგენების გუნდი 2013 წლის ნოემბერში შენიშნეს ახალი ინგლისის სანაპიროსთან. ის დაახლოებით 1400 ზვიგენისგან შედგებოდა. მოზრდილი თევზების გარდა, მასში ახალგაზრდა უზარმაზარი ზვიგენებიც იმყოფებოდნენ.

მეცნიერები აღნიშნავენ, რომ ჩვეულებრივ ამ სახეობის წარმომადგენლები მარტოდმარტოდ ან მცირე ჯგუფებად გვხვდებიან. მხოლოდ უიშვიათესად ხდება, როდესაც საუბარი შეეხება გუნდებს, როდესაც მათში შვიდზე მეტი უზარმაზარი ზვიგენი გვხვდება.

უზარმაზარი ზვიგენი თავისი ზომით თევზებს შორის მეორე ადგილზეა და მხოლოდ ვეშაპისებრთა ზვიგენს ჩამორჩება. ცნობილია ცალკეული ეგზემპლარები, რომელთა სიგრძე ცხრა მეტრს აღწევს. ისინი პლანქტონით იკვებებიან და ადამიანისთვის საფრთხეს არ წარმოადგენენ.

ნიანგებით გარშემორტყმულ ავსტრალიელს ხემ უშველა

ავსტრალიელი კიბორჩხალების შემგროვებელი, რომელსაც წყლის მოქცევამ მოუსწრო, იძულებული გახდა ნიანგებისგან თავის დასახსნელად ხეზე ამძვრალიყო.

60 წლის ბრაიან დანკანი კვინსლენდის შტატის ქალაქ კერნსის მახლობლად მდებარე ტყეში წავიდა, რათა კიბორჩხალების დასაჭერი ადგილი შეერჩია. მან ხაფანგების დასადგმელად რამდენიმე წერტილი შეიგულა და სახლში დაბრუნებას აპირებდა, მაგრამ წყლის მოქცევის გამო ეს ვეღარ შეძლო. წყლის დონის აწევის გამო ტყე ნიანგებით გაივსო. მამაკაცმა გადაწყვიტა, რომ ღამის გასათევად ყველაზე უსაფრთხო ადგილი მაღალი ხის ტოტი იყო.

იმის გამო, რომ მობილური ტელეფონის აკუმულატორი დაუჯდა დანკანმა სახლში დარეკვა და თავის ამბის შეტყობინება ვერ შეძლო. დანკანის თქმით, მას ესმოდა, რომ მისი ახლობლები ნერვიულობდნენ მის გამო, მაგრამ არაფრის გაკეთება არ შეეძლო. მეორე დილით მის ძებნაში ჩაერთო პოლიცია, მათ შორის წყლის პოლიციაც, ასევე ავსტრალიის საგანგებო სიტუაციათა თანამშრომლებიც. იმ ტყეში, სადაც დანკანი დაიკარგა შვეულმფრენი იქნა გაგზავნილი.

საბოლოოდ დანკანი იპოვეს, მან ტყეში ხეზე 20 საათზე მეტი გაატარა. ის მწერებმა დაკბინეს, თუმცა სხვა მხრივ არ დაზარალებულა. ამის მიუხედავად, იგი იმავე ტყეში დაბრუნებას აღარ აპირებს. მისი თქმით, უმჯობესი იქნება, თუ კიბორჩხალებს ის ძველ ადგილებში დაიჭერს.

შეშლილი ბატი ამერიკულ ქალაქს ატერორებს

ამერიკის ფლორიდის შტატის პატარა ქალაქ დე ბარის მცხოვრებნი მეტად აგრესიული ბატის გამო ჩივიან. ფრინველის ქმედებების შესახებ გადაღებულმა ვიდეომ ახალი ამბების ერთ-ერთი პორტალის ყურადღება მიიქცია.

ადგილობრივი მცხოვრებლის ჯენიფერ ჯესალის თქმით, ბატი მოქალაქეებს უკვე რამდენიმე კვირაა პრობლემებს უქმნის: ის ადამიანებს დასდევს და უნისკარტებს, ასევე მან სახლების ფანჯრებზე დამცავი ბადეები დაგლიჯა.

– ის მისდევს ბავშვებს ავტობუსის გაჩერებიდან სახლის კარამდე, ან უბრალოდ ცდილობს, თავს დაესხას ავტობუსის მომლოდინე ადამიანებს, – განაცხადა ქალბატონმა.

თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჯესალი ფრინველის უჩვეულო საქციელს გამართლებასაც უძებნის.

– მას ჰყავდა მეგობარი, რომელიც მოკვდა. არ ვიცი რა დაემართა, მაგრამ სწორედ იმის შემდეგ აურია ბატმა, მგონი შეიშალა, – დაამატა ჯესალმა.

მეზობლებისგან განსხვავებით, ის არ მიიჩნევს აუცილებლად ფრინველის ცხოველთა თავშესაფარში გადაყვანას, ვინაიდან „ის რეგიონის განუყოფელ ნაწილად იქცა“ და ცხოველთა დამცველებს მისთვის ახალი მეგობრის მოძებნას ურჩევს.

თუმცა ქალაქის ერთ-ერთმა მცხოვრებმა დაადასტურა, რომ უახლოეს ხანში ბატს დაიჭერენ და სხვა ადგილზე გადაიყვანენ საცხოვრებლად.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

17 აპრილისთვის

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.4162

ევრო — 2.9811

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.4530

100 რუსული რუბლი — 3.9216

ამინდის პროგნოზი 17 აპრილისთვის

5 აპრილიდან

150 ამბავი ნობელიანტი ფიზიკოსები

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი



29 მარტიდან

ავთანდილ ბუხრაშვილი

მყუდრო აგარაკის საიდუმლოება

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

3 აპრილიდან

79 ამბავი ზვიად გამსახურდია

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი

ბუფონს ბოკა ხუნიორსი ეპატიჟება

იუვენტუსის მეკარეს ჯანლუიჯი ბუფონს სეზონის ბოლოს იუვესთან კონტრაქტი უმთავრდება და ის სავარაუდოდ თავისუფალი აგენტი გახდება. ბუფონს ჯერ არ მიუღია გადაწყვეტილება იმის შესახებ, ამთავრებს თუ არა ის საფეხბურთო კარიერას. არგენტინულმა კლუბმა ბოკა ხუნიორსმა ბუფონს ერთწლიანი კონტრაქტი შესთავაზა და ჯიჯის ჯერჯერობით ამ საკითხზე კომენტარი არ გაუკეთებია.

ბოკა ხუნიორსში ბუფონის ყოფილი თანაგუნდელი კარლოს ტევესი თამაშობს.

გერმანიაში „სისხლის“ წვიმას ელოდებიან

სინოპტიკოსები გერმანიაში „სისხლის“ წვიმას ელოდებიან. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

წითელი ფერის ნალექი შესაძლოა გერმანიის ჩრდილოეთ ნაწილსა და ჰამბურგში მოვიდეს. ნალექის უჩვეულო შეფერილობა განპირობებული იქნება საჰარის უდაბნოს ქვიშის გამო, რომელსაც ევროპაში ჰაერის დინებები მიიტანს. როდესაც ასეთი წვიმის ქვეშ მოყოლილი შენობები და ავტომობილები გაშრება, მათზე მოწითალო ფერის მტვრის თხელი ფენა დარჩება.

„სისხლის“ წვიმები იშვიათ მოვლენას წარმოადგენს გერმანიაში, ის 2016 წლის აპრილის შემდეგ აღარ ყოფილა. თუმცა ამჯერად მათი ალბათობა, გერმანიის ქალაქებში კასელსა და გეტინგენში, მეტეოროლოგების შეფასებით, 90 პროცენტია.

იუმორი

ქმარმა ცოლს საყვარელთან მიუსწრო, პისტოლეტი ამოიღო, ცოლის საყვარელი გარეთ გაიყვანა და ეუბნება:

– მოდი, ერთხელ და სამუდამოდ გავარკვიოთ, ჩვენ შორის რომელი უფრო ვჭირდებით.

– ეგ როგორ უნდა გავარკვიოთ?

– ასე მოვიქცეთ: ორჯერ გავისვრი და ორივენი წავიქცევით. რომელთანაც ჩემი ცოლი მიირბენს, ის დარჩება მასთან.

– კარგი.

ცოლმა ორი გასროლის ხმა გაიგონა, ფანჯარაში გაიხედა, ხედავს, ორივე მიწაზე აგდია და ყვირის:

– გივი, გივი, გამოდი, ამ სულელებმა ერთმანეთი დახოცეს.

●●●

თვითმფრინავის აფრენის შემდეგ სალონში გამოდის ბორტგამცილებელი გოგონა და აცხადებს:

– პატივცემულო მგზავრებო! თქვენ მოგესალმებათ ჩვენი ავიაკომპანია. ჩვენს თვითმფრინავს მართავს პირველი კლასის პილოტი, პარაშუტით ხტომების სპორტის დამსახურებული ოსტატი...

●●●

ქმარი ცოლს ეუბნება:

– გთხოვ, მოდი, დავშორდეთ ერთმანეთს! ასე ცხოვრება აღარ შეიძლება!

– არა, ძვირფასო, ქვრივად მომიყვანე და ქვრივადვე უნდა დამტოვო...

●●●

ერთი ნაცნობი მეორეს ეუბნება:

– ჩემს ბავშვობაში რამდენს ვიცინოდი მულტფილმში „აბა დამაცადე!“ მგელი საკუთარ თავს სურათებს რომ უღებდა. ეს ისეთი უცნაური იყო!

– ჰოდა ახლა ვინ იფიქრებდა, რომ...

●●●

საკრუიზო თბომავალი ოკეანეში პატარა კუნძულის შორიახლოს მიცურავს, რომელზეც გრძელწვერებიანი მამაკაცი ხელების ქნევით წინ და უკან დარბის.

მგზავრი გემის კაპიტანს ეკითხება:

– ის ვინ არის?

– არ ვიცი. ყოველ წელს, როდესაც აქ ჩავივლით, ყოველთვის ასე იქცევა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

28 მარტიდან

130 ამბავი ლუდი

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

მოჰამედ სალაჰი: „ოქროს ბურთის მოგებას ჩემპიონთა ლიგა მირჩევნია“

ლივერპულის ერთ-ერთმა ლიდერმა მოჰამედ სალაჰმა განაცხადა, რომ მისთვის მთავარი გუნდის წარმატებებია, ამიტომ ოქროს ბურთის მოგებას მას ჩემპიონთა ლიგის მოგება ურჩევნია.

– ოქროს ბურთი ძალიან პრესტიჟულია და, ბუნებრივია, რომ ჩემთვის სასიამოვნო იქნებოდა ამ პრიზის აღება, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი გუნდური გამარჯვებებია, ამიტომ ჩემპიონთა ლიგის მოგებაზე წინ ვერაფერს დავაყენებ, – განაცხადა მოჰამედ სალაჰმა.

სალაჰი წელს შესანიშნავ სეზონს ატარებს და მან პრემიერ ლიგაში უკვე 30 გოლი გაიტანა, მთლიანად სეზონში კი 40 გოლზე მეტი დაუგროვდა.

ანდრეს ინიესტა თავის მომავალზე გადაწყვეტილებას მალე მიიღებს

ბარსელონას ნახევარმცველმა ანდრეს ინიესტამ შესაძლოა სეზონის ბოლოს გუნდი დატოვოს. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ინიესტა გადაწყვეტილებას ესპანეთის თასის ფინალის შემდეგ მიიღებს, რომელიც 21 აპრილს ჩატარდება.

ინიესტას სახელს რამდენიმე ჩინურ კლუბს უკავშირებენ და ბარსელონადან წასვლის შემთხვევაში ესპანელი ნახევარმცველი, სავარაუდოდ, კარიერას ჩინეთში გააგრძელებს. ინიესტას შეძენით რამდენიმე ინგლისური კლუბიც არის დაინტერესებული.

უსმან დემბელე: „ბარსელონას დატოვებას არ ვაპირებ“

ბარსელონას ახალგაზრდა ფორვარდმა უსმან დემბელემ განაცხადა რომ ის ბარსელონას დატოვებას არ აპირებს და ამ გუნდში ძალიან ბედნიერია. დემბელეს თქმით, ის ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდაა და მას საუკეთესო წლები წინ აქვს:

– ბარსელონასთან 5-წლიანი კონტრაქტი მაკავშირებს და ამ გუნდში ჯერჯერობით ძალიან ბედნიერი ვარ. წლევანდელი სეზონი არ გამოდგა ისეთი, როგორიც მე მინდოდა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ მომავალ სეზონში ყველაფერი შეიცვლება.

დემბელემ ბარსელონას მაისურით მხოლოდ ერთი გოლის გატანა შეძლო.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ჯოხვოხდი 2



შვეულად: 1. თავადის უმაღლესი ტიტული ინდოეთში; 2. ყურის ექიმი; 3. სახელმწიფო არაბეთის ნახევარკუნძულზე; 4. რუსი პოეტი; 5. ნივთიერება, რომელსაც გამოყოფენ შინაგანი სეკრეციის ჯირკვლები; 10. რაიონული ცენტრი სამეგრელოში; 11. სტუმრის მიმღები, დამხვედრი; 12. ცხოველის ან მცენარის სხვადასხვა ჯიშების ნაჯვარი; 15. სოხუმის ძველბერძნული სახელწოდება; 16. ტყვიის შემცველი ოპტიკური მინა; 17. პატარა სამკუთხა ალამი; 20. პოლონელი მწერალი, რომანების „ფარაონისა“ და „თოჯინას“ ავტორი.

თარაზულად: 6, სამკურნალო-პროფილაქტიკური, დასასვენებელი დაწესებულება კურორტზე; 7. ძველებური ფრანგული ოქროს ფული; 8. გერმანული ლუდი; 9. ფრანგი მხატვარი, ფოტოგრაფიის ერთ-ერთი გამომგონებელი; 13. მადნიდან ლითონის გამოდნობის შემდეგ დარჩენილი ნარჩენები; 14. გარდაბნის ძველი სახელწოდება; 18. მანქანაზე ნაქსოვი ნაწარმი; 19. შოტლანდიელ მამაკაცთა კაბა; 21. ბრიტანელი ველომრბოლელი, „ტურდე-ფრანსის“ სამგზის გამარჯვებული; 22. ძველებური სატუსაღო; 23. ქართველი მწერლის ეგნატე ინგოროყვას ლიტერატურული ფსევდონიმი; 24. პირი, რომელიც არც ერთი ქვეყნის მოქალაქედ არ ითვლება.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა